საბა

№10(190)
ოქტომბერი
2011

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე

100 წელი მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან

დიდუბის პანთეონი

სულ რაღაც 33 წლის შემდეგ...

16 სექტემბერს, მ. თამარაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტში მოეწყო ჩვენება რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმისა – „კვალი ნათელი“. ფილმის ბოლო კადრები, სადაც ურიცხვი ხალხი დიდუბის პანთეონისაკენ მიაცილებს მიხეილ თამარაშვილის კუბოს, უნებურად ბადებს ჩვენში კითხვას, რამ უბიძგა ამ ხალხს, რომ ასეთი დიდი პატივი მიეგო ახალციხის მკვიდრი, ქართველი კათოლიკე მღვდლისათვის, რომელმაც იტალიაში, ჩივიტავეკიასთან ახლოს, ადრიატიკის ზღვაში სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად გასწირა თავი; საკითხავია, რამ უბიძგა ზოგიერთ ქართველს, ეტვირთა მამულიშვილური მისია, – მაშინ არცთუ იოლად შესასრულებელი, – რომ ჩივიტავეკიას სასაფლაოზე დაკრძალული მისი ცხედარი საქართველოში გადმოესვენებინა.

ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით შემდეგ კითხვასაც: ამ სასიხარულო მოვლენიდან 33 წლის შემდეგ, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალია ამ პროცესიის ზოგიერთი მონაწილე, და შეიძლება მათგან სიამაყით წარმოთქმული დადებითი შთაბეჭდილებებიც მოვისმინოთ, ასე უცბად სად გაქრა იგივე ხალხი, რომელმაც დღესაც უნდა მიაგოს პატივი ამ მიწა-წყლის სახელოვან შვილს, მისი კულტურის ღირსეულ წარმომადგენელს, კათოლიკე ეკლესიის გაბედულ მღვდელმსახურს. მაშ, რატომღა ჩამოასვენეს სამშობლოში მისი ცხედარი, თუკი შემდგომში არანაირ მოწიწებას არ გამოიჩენდნენ დიდუბის პანთეონის სავანეში დასვენებული მისი ნეშტის მიმართ? თუკი მისი ღვაწლი ნამდვილად ტოლს არ უდებს ქართული კულტურის სხვა წარმომადგენელთა ღვაწლს, ხომ არ არის ქართულ საზოგადოებაში დღეს იმის საშიშროება, რომ დაშრეს ყველა ის არხი, სადაც უხვად და თავისუფლად უნდა მიედინებოდეს ის სასიცოცხლო ლიმფა, რაც მთელ საზოგადოებას გამოკვებავდა? რატომ, რომელი ახალი იდეოლოგიის სახელით, ან უბრალოდ, რა ფაქტის გამო გაქრა ინტერესი სერიოზული კვლევის მიმართ კულტურის ყველა სფეროში? რატომ ხდება ეს? ყველაზე სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით, თვლიან, რომ მ. მიხეილ თამარაშვილი ერთ-ერთი უდიდესი ქართველი ისტორიკოსი იყო... ამბობენ, რომ იგი საქართველოში ყველაზე მნიშვნელოვანი კათოლიკე მოღვაწე გახლდათ, და რომ დღეს ძნელად თუ მოიძებნება მისი მსგავსი ფიგურა. შესაძლოა, ეს სიტყვები შემთხვევითია... ან ეს ის სიტყვებია, რომლებიც ცხადად მეტყველებენ დღევანდელ ვითარებაზე; არ მინდა, აქ იმ კულტურულ ვითარებაზე ვისაუბრო, რაც ქართულ უნივერსიტეტებში, კულტურის კერებში, პუბლიკაციებში, მას-მედიაშია გამეფებული... დღეს ამ ქვეყნის ქართველი კათოლიკეები ისე ცდუნდებიან, როგორც არასდროს, და წყვეტენ კავშირებს თავიანთი მშობლების, თავიანთი მამა-პაპის ეკლესიასთან, თამარაშვილების, სააკაშვილების, ზუბალაშვილების, ოცხელების, ფალიაშვილების ფესვებთან... ამას, უბრალოდ, უვიცობის, ანგარების ან ინდიფერენტულობის გამო აკეთებენ... ან სულაც პირდაპირი თუ ირიბი ზეწოლის გამო, თუმცა დიდი მამულიშვილის ხსოვნა მათთვის უსათუოდ იქნება სტიმული აწმყოში, რომ გაგრძელდეს ტრადიცია, რომელიც გამოიხატა კულტურის სიყვარულში, გაჭირვებულთა დახმარებაში, ამ ქვეყანაში მშვიდობის, სამართლიანობის დამყარებაში, რომის სამოციქულო საყდართან ზიარებაში მყოფი კათოლიკე ეკლესიის შვილების ერთგულებისკენ მოწოდებაში.

ასეა თუ ისე, რამდენიმე თვის წინ, თბილისის ქუჩებში, იმავე ქალაქში, რომელმაც თავის წიაღში მიიბარა მ. თამარაშვილის სხეული, საპროტესტო ტალღა აზვირთდა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილების მისამართით, რომელიც გულისხმობდა ამ მიწაზე მყოფი სხვა ეკლესიებისა და რელიგიების იურიდიული მდგომარეობის მოწესრიგებას. ამ ხალხის აზრით, ეს კანონი საფრთხეს უქმნიდა უმრავლესობის ეკლესიას და თავად საზოგადოებას; საპროტესტო მოძრაობის პირველ რიგებში მყოფ პირებს მონასტრებიდან, მართლმადიდებლური თუ ფსევდო-მართლმადიდებლური მრევლიდან ამ კანონის ბევრ მხარეზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, და, მით უფრო, არც საქართველოში სხვა რელიგიებისა და ეკლესიების არსებობაზე; ყველაზე საგულისხმო იყო გაპროტესტება იმისა, რომ თითქოსდა ეს იყო მუქარა; რომ სხვა ეკლესიები და რელიგიები ამ ქვეყნისა და ამ ხალხის მტრები არიან; საკითხავია, ნუთუ მ. თამარაშვილიც მტერი იყო? იმედს ვიტოვებთ, რომ სასულიერო და ხელისუფლების პასუხისმგებელ პირთა გონიერება დაეხმარება მათ იმის შეგნებაში, თუ რამდენად ფუნდამენტურია რელიგიური თავისუფლება ყველა ადამიანისათვის და რელიგიებს შორის მშვიდობისა და საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისთვის.

ყოველივე ეს, შეიძლება ითქვას, სინთეზურად არის წარმოდგენილი აშშ-ს დეპარტამენტის საანგარიშო მოხსენებაში – რელიგიური თავისუფლება მსოფლიოში; მოხსენებას თან ერთვის უამრავი „ფოტო“, ამსახველი იმ სიტუაციებისა, რაშიც რელიგიური უმცირესობები ცხოვრობენ. ეს ფოტოები გასულ სექტემბერს გამოქვეყნდა; მოხსენებაში საუბარია მთავრობებზე, რომლებიც ახალისებენ რელიგიური თავისუფლების უფლებისადმი პატივისცემას, თანამშრომლობენ საერო საზოგადოებასთან და, თავიანთ ქვეყანაში სტაბილური მდგომარეობის შექმნით, ცდილობენ, შეამცირონ დევნისა და ძალადობის გამომხატველი ფაქტები. როდესაც ამ ქვეყნის სახელმწიფო მდივანი, ჰილარი კლინტონი ზემოხსენებულ საანგარიშო მოხსენებას კითხულობდა ვაშინგტონში, მან მთავრობის ყურადღება გაამახვილა რელიგიური საკრებულოების პრობლემებზე, რომლებიც ხშირად ნამდვილი ძალადობის ობიექტები არიან. მოხსენებამ, რომელიც, ჩვეულებრივ, აანალიზებს წლიურ ვითარებას, ამჯერად მიმოიხილა 2010 წლის მეორე სემესტრი; კონკრეტულად კი, მოცემულ კვლევაში ქვეყნები დაყოფილია რელიგიური თავისუფლების დაცვის მხრივ მეტ-ნაკლებად მძიმე სიტუაციების მიხედვით, და დიდი და მცირე მიღწევებით. სახელმწიფო დეპარტამენტის მიხედვით, „შავ სიაში“ მოხვდნენ ის ქვეყნები, სადაც უმცირესობათა პირობები „განსაკუთრებულ აღშფოთებას“ იწვევს, ესენია: საუდის არაბეთი, ბირმა, ჩინეთი, ჩრდილო კორეა, ერიტრეა, ირანი, სუდანი და უზბეკეთი. სხვა ქვეყნებში, შესაძლოა, უმცირესობებთან მიმართებაში, მეტ-ნაკლებად რთული პირობებია, რაც პირდაპირ რეპრესიული ფორმებით არ ვლინდება, მაგრამ ისეთი არატოლერანტული კლიმატი სუფევს, რომ ხშირად აუტანელია ფუნდამენტალისტური ჯგუფების არსებობა: ამ რეალობებს შორის ჩამოთვლილია, მაგალითად, პაკისტანში ღვთის გმობის შესახებ გამოსულ კანონზე რეფორმის არქონა; ასევე ინდონეზიაში ინდური წარმოშობის მუსულმანური სექტა, რომლის მიზეზითაც ქრისტიანებმა 2010 წელს სხვადასხვა ძალადობრივი შეტევები განიცადეს; მათ რიგებშია ეგვიპტე, გამომდინარე იქიდან, რომ მთავრობა არ ჩქარობს, კოპტელი ქრისტიანების მიმართ განხორციელებული ძალადობის ჩამდენნი დასაჯოს. ჰილარი კლინტონმა რელიგიური თავისუფლება განსაზღვრა, როგორც ადამიანთა შესაძლებლობა, რომ თავისუფლად მისდიონ საკუთარ რწმენას, გაზარდონ თავიანთი შვილები საკუთარი ტრადიციის მიხედვით, გამოაქვეყნონ რელიგიური ტექსტები ცენზურის გარეშე, შეეძლოთ რელიგიის შეცვლა, ან სულაც არ მისდევდნენ არანაირ რწმენას. სახელმწიფო მდივანმა ასევე დასძინა, რომ „რელიგიური თავისუფლების დაცვა ამერიკის ძირითადი საზრუნავია, და რომ იგი ფედერალური რესპუბლიკის ფორმირებიდან მომდინარეობს და დღემდე უცვლელად რჩება“.

და ბოლოს, მადლობა უნდა გადავუხადოთ ყველა მათგანს, ვინც ამ მიზანს სხვადასხვა ფორმით ემსახურება და გვახსოვდეს, რომ მათი მოვალეობა ყოვლად მნიშვნელოვანია!

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

„სიხარულით მივდივარ გერმანიაში“

22-25 სექტემბერს პაპი ბენედიქტე XVI გერმანიას სტუმრობდა. „სიხარულით მივდივარ გერმანიაში. მე ხომ იქ დავიბადე, საკუთარი ფესვები კი არავინ არ უნდა დავიწყოს“, – აღნიშნა უწმიდესმა პაპმა ვიზიტის დამდეგს.

ბერლინის აეროპორტში პონტიფექსს გერმანიის პრეზიდენტი კრისტიან ვულფი შეხვდა. უწმიდესი პაპის მისალმების ცერემონია ქვეყნის მეთაურის რეზიდენციაში, ბელვიუს სასახლეში გაიმართა. „რა თქმა უნდა, ეს ოფიციალური ვიზიტია, რომლის მიზანია კეთილ ურთიერთობათა განმტკიცება გერმანიის სახელმწიფოსა და წმიდა საყდარს შორის. მაგრამ მე აქ უმთავრესად იმისთვის ჩამოვედი, რომ ადამიანებს შევხვდე და ღმერთზე ვესაუბრო მათ. თანამედროვე საზოგადოება უფრო და უფრო გულგრილი ხდება რელიგიის მიმართ. ჭეშმარიტება მისთვის დაბრკოლებაა, რომელსაც უტილიტარული მსჯელობისას აწყდება. ჩვენი თანაცხოვრებისთვის კი აუცილებელია საფუძველი და ეს საფუძველი სწორედ რელიგიაა“, – აღნიშნა უწმიდესმა პაპმა თავის მისასალმებელ სიტყვაში.

პრეზიდენტის სასახლიდან უწმიდესი პაპი გერმანიის ეპისკოპოსთა კონფერენციის რეზიდენციაში გაემართა, სადაც გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს შეხვდა.

სადილის შემდეგ, ბენედიქტე XVI რაიხსტაგის შენობისკენ გაემართა, სადაც სიტყვით გამოვიდა გერმანიის პარლამენტის წინაშე: „რა არის სახელმწიფო სამართლიანობის გარეშე, თუ არა ყაჩაღების ჯგუფი? ჩვენ, გერმანელებმა, საკუთარი ისტორიიდან ვიცით, რომ ეს მხოლოდ სიტყვები არ არის. ჩვენ გვინახავს, როგორ ემიჯნება ძალაუფლება სამართლის პრინციპებს, როგორ უპირისპირდება სამართალს, როგორ აქცევს სახელმწიფოს სამართლის განადგურების იარაღად. ქრისტიანობას

არასდროს შეუთავაზებია სახელმწიფოსთვის წმიდა წერილზე დაფუძნებული იურიდიული ნორმები. მხოლოდ ბუნებასა და გონებაზე მიუთითებდა, როგორც სამართლის ჭეშმარიტ წყაროებზე. გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების სამართლებრივი სისტემა ბუნების კანონის პრინციპებზეა დაფუძნებული, მაგრამ ეს ჰარმონიული სისტემა ბოლო დროს საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ბუნების კანონის იდეა დღეს მხოლოდ კათოლიკურ დოქტრინად მიიჩნევა. საკუთრივ ტერმინის გამოყენებასაც კი ერიდებიან. ამ ცნების უგულებელყოფის გამო, ხშირად შეუძლებელია სამართლიანობის ობიექტური სტანდარტების განსაზღვრა“.

პარლამენტარების წინაშე გამოსვლის შემდეგ, უწმიდესი პაპი ადგილობრივ ებრაულ თემთა წარმომადგენლებს შეხვდა: „აქ მდებარეობდა ცენტრი, რომელშიც იგეგმებოდა ჩვენი თანამოქალაქეების, – ევროპის ებრაელების განადგურება. ნაცისტური რეჟიმი ეფუძნებოდა მითს, რომლის ნაწილი იყო უარყოფა აბრაამის, ისააკისა და იაკობის ღმერთისა, უფალ იესო ქრისტესი და ყველა მისი მორწმუნისა. „ყოვლისშემძლე“ ჰიტლერი იყო წარმართული კერპი, რომელიც ცდილობდა, დაეკავებინა ბიბლიური ღმერთის, შემოქმედის ადგილი. ღმრთის უარყოფას კი ადამიანის ღირსების უარყოფა მოსდევს“.

საღამოს უწმიდესმა პაპმა ბერლინის ოლიმპიის სტადიონზე წირვა აღავლინა, რომელსაც 70 000 მორწმუნე დაესწრო.

23 სექტემბერს სამოციქულო ნუნციატურის შენობაში ბენედიქტე XVI გარმანიის მუსლიმური თემის წარმომადგენლებს შეხვდა. თავის სიტყვაში პონტიფექსმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ურთიერთპატივისცემის განმტკიცება მხოლოდ საერთო ღირებულებათა საფუძველზეა შესაძლებელი. ურთიერთპატივისცემა გამორიცხავს რელიგიური თვითგამოხატვის შეზღუდვას. „როდესაც გაჭირვებულს დახმარების ხელს უწვდიან, როდესაც დედა შვილს იკრავს გულში, ერთი ადამიანი კი მეორეს

უღიმის, როდესაც ვიღაც სიკეთეს სჩადის, – სწორედ მაშინ ვლინდება ღმერთი“, – თქვა თავის საპასუხო სიტყვაში მუსლიმთა თემის წარმომადგენელმა მუჰამედ ჰორშიდმა.

მუსლიმთა თემთან შეხვედრა დილის 9 საათზე შედგა, შუადღისას კი უწმიდესი პაპი უკვე ერფურტში იყო, სადაც ევანგელური ეკლესიის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა გაიმართა ავგუსტინელთა ძველ მონასტერში, სადაც 1521 წლამდე ლუთერი ცხოვრობდა. პაპმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკუმენიზმს მზარდი სეკულარიზაციის ხანაში. „ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ეს შეხვედრა. ეს ის ადგილია, სადაც ლუთერი ღმრთისმეტყველებას სწავლობდა; აქვე იქნა ხელდასხმული... რა ვარ მე ღმრთისათვის? – ლუთერის ეს კითხვა ჩვენი კითხვაც უნდა გახდეს“, – აღნიშნა ბენედიქტე XVI-მ. ერთობლივ ღმრთისმსახურებაში სხვადასხვა პროტესტანტულ დენომინაციათა წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

24 სექტემბერს, დილით, ერფურტის სატაძრო მოედანზე უწმიდესმა პაპმა წირვა აღავლინა, შემდეგ კი ფრაიბურგში გაემგზავრა.

პირველი შეხვედრა – ფრაიბურგის მცხოვრებლებთან, – სატაძრო მოედანზე შედგა. შემდეგ გაიმართა შეხვედრები გერმანიის ყოფილ კანცლერთან ჰელმუტ კოლთან და მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან. „ქრისტიანულ ეკლესიათა და თემთა შორის მართლმადიდებლობა ჩვენთვის ყველაზე ახლოა. ვიცი, მოვა დღე და ჩვენს შორის ევქარისტიული ერთობა აღდგება“, – აღნიშნა უწმიდესმა პაპმა.

25 სექტემბერს ფრაიბურგის აეროპორტში უწმიდესმა პაპმა წირვა აღავლინა.

სადილის შემდეგ, სემინარიაში, ბენედიქტე XVI გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებს შეხვდა. საღამოს კი, ფრაიბურგის საკონცერტო დარბაზში გაიმართა უწმიდესი პაპის შეხვედრა გერმანიის კათოლიკეებთან.

საღამოს, ადგილობრივი დროით 19.45

▶ 4 ᲒᲒ.

◀ 3 83.

ბენედიქტე XVI-ის თვითმფრინავი ლარის აეროპორტიდან რომში გაფრინდა.

მასმედიის საშუალებები, რომელთაგანაც ბევრი კრიტიკა გაისმოდა პაპის დამდეგი ვიზიტის გამო, შემდეგ საკმაოდ პოზიტიურ რეპორტაჟებს უძღვნიდნენ მიმდინარე ვიზიტს. ლიბერალურ-კონსერვატიულმა გაზეთმა Frankfurter Allgemeine Zeitung პაპის მიერ რაიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვას „საუკუნის სიტყვა“ უწოდა; Der Spiegel პაპის სიტყვებს ახასიათებს როგორც მოულოდნელს და, ამავდროულად, დამაჯერებელს; Süddeutsche Zeitung გაოცებულია პაპის თავმდაბლობით და მის სიტყვას ბუნდესტაგის წინაშე „შთამბეჭდავს და ფილოსოფიურს“ უწოდებს; Die Welt აღნიშნავს, რომ პაპმა მეგობრებიც გააოცა და მოწინააღმდეგეებიც. და მხოლოდ ბერლინური Die Tageszeitung ირწმუნება, რომ „პაპს არაფერი აქვს სათქმელი“, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ პაპის სიტყვა რაიხსტაგში გერმანული დემოკრატიის ისტორიის პოზიტიური მომენტია.

ჰონკონგის კათოლიკეები პატრიოტიზმის გაკვეთილების წინააღმდეგ

ჰონკონგის კათოლიკეები შეუერთდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ახალი განწესების წინააღმდეგ პროტესტს. ახალი განწესების თანახმად, ჰონკონგის სკოლებში ამიერიდან ჩატარდება ე. წ. პატრიოტულ ღირებულებათა გაკვეთილები. პედაგოგთა პროფკავშირი ჰონკონგის განათლების სისტემის ჩინეთის სისტემასთან უნიფიკაციას აპროტესტებს; ადგილობრივი კათოლიკური ეპარ-

ქია, რომლის მეურვეობის ქვეშ რამდენიმე სასწავლო ცენრია, აცხადებს, რომ ახალი განწესება სამოქალაქო უფლებებს ლახავს.

აქამდე ჰონკონგში, როგორც განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ რეგიონში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისაგან განსხვავებული საგანმანათლებლო სისტემა მოქმედებდა. ჩინეთის ხელისუფლება არსებულ განსხვავებათა ნიველირებას ცდილობს. ის ფაქტი, რომ საგანმანათლებლო პროგრამებში აუცილებელ ელემენტად კომუნისტური პროპაგანდა იჭრება, საზოგადოების მხრიდან პროტესტს იწვევს.

მოსკოვის ადმინისტრაცია დედა ტერეზას დების წინააღმდეგ

2007 წელს მოსკოვის აღმოსავლეთის ადმინისტრაციული ოლქის სამმართველომ სასამართლოში სარჩელი შეიტანა „სიყ-

ვარულის მისიონერთა“ საზოგადოების კუთვნილი შენობის დემონტაჟის შესახებ.

ამა წლის 13-18 სექტემბერს მოსკოვის საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილების თანახმად, განხორციელდა დემონტაჟი საზოგადოება „სიყვარულის მისიონერების“ კუთვნილი შენობისა, რომელშიც უსახლკაროთა და უნარშეზღუდულთა თავშესაფრის პირველადი დახმარების პუნქტი იყო განთავსებული. დადგენილების თანახმად, დემონტაჟს ექვემდებარება თავშესაფრის კიდევ ერთი შენობის მანსარდა, სადაც დედა ტერეზას დები სამეურვეოთათვის განკუთვნილ ყავარჯნებსა და ეტლებს ინახავენ.

შენობისა და მანსარდის მშენებლობის ნებართვა გაცემულია მოსკოვის მუნიციპალიტეტის მიერ. სასამართლო დადგენილების საფუძველი გახდა ის, რომ ხსენებული ნაგებობები არ იქნა რეგისტრირებული სათანადო დროს. როგორც აცხადებენ დედა ტერეზას დები 19 სექტემბერს გამოქვეყნებულ მიმართვაში, ისინი ინფორმირებულები არ იყვნენ ამგვარი ლეგალიზაციის საჭიროების შესახებ, თუმცა არც საკუთარ შეცდომას უარყოფდნენ და მოსკოვის მერს დაშვებულ დარღვევათა გამოსწორებაში ხელშეწყობის თხოვნით მიმართეს.

შენობა რეგისტრირებულია მოსკოვის არქიტექტურის კომიტეტში და მიწის სამმართველოში. საჭირო იყო მხოლოდ მისი ლეგალიზაცია სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურში. მაგრამ აქ დედა ტერეზას დებმა უარი მიიღეს, რადგან ლეგალიზაციის დადგენილი ვადა გასული იყო.

დები არ უარყოფენ, რომ მათი მხრიდან დაშვებულია შეცდომები შენობის რეგისტრაციის დროს. მაგრამ ისმის კითხვა: რატომაა აუცილებელი კანონიერად აგებული შენობის დანგრევა, თუკი შესაძლებელია მისი ასევე კანონიერი რეგისტრაცია?

ეს პირველი შემთხვევაა მსოფლიოში, როდესაც ქალაქის ადმინისტრაციას სარჩელი შეაქვს „სიყვარულის მისიონერების“ წინააღმდეგ.

გზა ჩრდილო კორეისაკენ

21 სექტემბერს ჩრდილო კორეას სამხრეთ კორეის რელიგიურ ლიდერთა დელეგაცია ეწვია. „როგორც რელიგიური ლიდერები, მოწოდებულნი ვართ, თანხმობა ვეძიოთ ჩვენს ჩრდილოელ ძმებთან. შევეცდებით, ხელი შევუწყოთ ჩრდილოეთ კორეასთან ურთიერთობათა აღდგენას. ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ თავად მოგვიწვია, სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ კი გამგზავრების ნება დაგვრთო. ეს ძალიან კარგი ნიშანია. იმედი გვაქვს, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ორ სახელმწიფოს შორის დიალოგის აღდგენას“, – აღნიშნა დელეგაციის ხელმძღვანელმა, კვანჯუს მთავარეპისკოპოსმა კიმ ხე-ძიუნმა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოეთ კორეაში რელიგიური თავისუფლება უკიდურესად შეზღუდულია, ფხენიანი რელიგიურ ლიდერებთან დიალოგის მეშვეობით გარკვეული ფინანსური დახმარების მიღებას ცდილობს. „იმასაც ვაცნობიერებთ, რომ ჩრდილოეთის მხარეს შეიძლება ანგარება ამოძრავებდეს. მაგრამ მაინც უნდა ვიმოქმედოთ იმისთვის, რომ დიალოგი დაიწყოს“, – აცხადებს მთავარეპისკოპოსი.

მოამზადა
რუსუდან ავალიშვილმა

მაღლობა ნუნციუსს

13 სექტემბერს, კათედრალში აღვლენილ წმ. წირვაზე ქართველ მრევლს გამოემშვიდობა მისი ყოვლადმაღალუსამღვდელოესობა, წმინდა საყდრის ნუნციუსი, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი. წმ. წირვაში, ნუნციუსთან ერთად, მონაწილეობდნენ კავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, საქართველოში ასირო-ქალდეველ კათოლიკეთა ქორეპისკოპოსი ბენიამინი, საქართველოში ლათინური წესის სხვადასხვა საკრებულოების მღვდელმსახურები და მრევლის წარმომადგენლები. ასევე, კათედრალისა და ასირო-ქალდეველთა ტაძრის მგალობელთა გუნდები.

მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა კლავდიო გუჯეროტი 10 წლის მანძილზე გახლდათ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ქვეყნებში რომის პაპის დესპანი. ამასთანავე, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში აკრედიტებული ელჩების დეკანიც იყო; მას ვატიკანმა ორჯერ გაუგრძელა დიპლომატიური სამსახურის ვადა. 2011 წლის ოქტომბრიდან მთავარეპისკოპოსი ბელორუსში გააგრძელებს დიპლომატიურ სამსახურს.

მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი საქართველოში რიგით მესამე ნუნციუსი გახლდათ და, წინამორბედებისაგან განსხვავებით, მან ყველაზე დიდხანს შეასრულა ეს მოვალეობა. ახლა მას უფრო დიდ სახელმწიფოში მოუწევს რთული მისიის აღსრულება, სადაც კათოლიკეთა რაოდენობა ბევრად მრავალრიცხოვანია და ვატიკანის მიზნებიც უფრო სერიოზული. ბელორუსია დღეისათვის ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტულ სახელმწიფოს წარმოადგენს. დასავლეთი სამყარო დაინტერესებულია ბელორუსთან ინტეგრაციით და ამ ქვეყანაში დემოკრატიული ცვლილებების გატარებით. ბოლო წლებში ბელორუსსა და რუსეთს შორის გაჩენილი ბზარები და მედვედევ-პუტინსა და ლუკაშენკოს შორის კრიტიკული მიმართვები დასავლეთს უბიძგებს მეტი აქტიურობისა და თავის ორბიტაზე ბელორუსის გადაბირებისაკენ. ამ მიმართებით ლუკაშენკო, რომელიც გასულ წლებში უფრო პრორუსულ-პროკომუნისტური განცხადებებით გამოირჩეოდა, ახლა, რუსეთზე განაწყენებული, უფრო დასავლური ორიენტაციისკენ იხრება. თუმცა მის ინტერესს წარმოადგენს დასავლეთისაგან უფრო მეტი დივიდენდების მიღება, ვიდრე დემოკრატიული რეფორმების გატარება, მაგრამ დასავლეთ ევროპა ცდილობს, ლუკაშენკოს ინტერესების პარალელურად, საკუთარი ინტერესების ექსპორტიც მოახდინოს აღმოსავლეთ ევროპის ამ რესურსებით მდიდარ ქვეყანაში. ვატიკანის გავლენის გაზრდაც ბელორუსის ევროინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. კლავდიო გუჯეროტიც, როგორც პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე დიპლომატი, ამ მიზნით შეირჩა.

კ. გუჯეროტი, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, როგორც ვატიკანის აღმოსავლეთის ეკლესიებთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი, ხშირად სტუმრობდა საბჭოეთის სხვადასხვა რესპუბლიკებში მოქმედ კათოლიკურ საკრებულოებს. იგი შესანიშნავად ფლობს სომხურსა და რუსულ ენებს, კარგად ერკვევა ქართულსა და სომხურ სასულიერო და საერო ლიტერატურაში. როგორც მეცნიერი-ფილოლოგი, კითხულობს საჯარო ლექციებს სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებში. მისი უშუალო დახმარებით, ჯერ კიდევ მანამ, სანამ მამა კლავდიო ნუნციუსი და მთავარეპოსკოპოსი გახდებიდა, იგი აქტიურად ეხმარებოდა ნიჭიერ ახალგაზრდებს უცხოეთში განათლების მიღებაში. მისი უშუალო მხარდაჭერით არა-ერთი ახალგაზრდა გაიგზავნა იტალიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში სწავლის მისაღებად; დღეს მრავალი მათგანი წარმატებულად აგრძელებს საქმიანობას როგორც თავის სამშობლოში, ასევე უცხოეთში.

დიდია ნუნციუს კლავდიო გუჯეროტის ღვაწლი სხვადასხვა შემოქმედებითი პროექტების განხორციელებაში. მისი უშუალო დახმარებით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ახალგაზრდა მუსიკოსთა ანსამბლი წლების განმავლობაში ახორციელებს გასტროლებს იტალიის ქალაქებში, რაც თავისთავად უდიდესი სტიმული და მხარდაჭერაა ქართველი მუსიკოს-შემსრულებლებისათვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი გახლდათ ახალ ქართულ ენაზე ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სამტომეულის მომზადება. მიმდინარე წლის მაისში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მაღალი შეფასება მისცა ამ პროექტს და, ნუნციუსის მხარდაჭერით, განხორციელდა კიდეც ქვეყნის საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების ამ მნიშვნელოვანი გამოცემით დასაჩუქრება.

2008 წლის რუსეთის აგრესიის დასრულებისთანავე, ნუნციუს კლავდიო გუჯეროტის ინიციატივით, კათოლიკურმა საქველმოქმედო ფონდმა „საქართველოს კარიტასმა“ უდიდესი დახმარება გაუწია ომით დაზარალებულ, ცხინვალის რეგიონიდან დევნილ მოსახლეობას. ნუნციუსს უმალვე გამოეხმაურენ იტალიის ეპარქიების მმართველები და მარტო 2008 წლის აგვისტოს თვეში იტალიელმა ეპისკოპოსებმა მილიონი ევრო შეაგროვეს დევნილთა დასახმარებლად.

2009 წელს მისივე მოწვევით თბილისს ესტუმრა ამერიკელი კარდინალი ჯონ მაკ-

▶ 6 ᲒᲒ.

◀ 5 ᲒᲐ.

კარიიკი, რომლის მხარდაჭერითაც მოხერხდა საქართველოს კარიტასისათვის ახალი ტრანშების გამოყოფა. ყველა ამ საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ მასალები შესაძლებელია იხილოთ ჟურნალ „საბას“ წინა ნომრებში. სამწუხაროდ, ქართული პრესა მუდამ ჩქმალავს კათოლიკური ეკლესიის მიერ საქართველოში განხორციელებულ საქველმოქმედო საქმიანობას. მაგრამ უმთავრესი დამსახურება ნუნციუს კლავდიო გუჯეროტისა გახლავთ ის წარმატება, რაც დიპლომატიური კუთხით განხორციელდა.

ნუნციუსმა შეძლო, უაღრესად დაძაბული, აშკარად ანტიკათოლიკური ფონის მიუხედავად, ეწარმოებინა ნაყოფიერი თანამშრომლობა საქართველოს საპატრიარქოსთან. იყო წარმატებებიც და წარუმატებლობებიც, აშკარა და პირდაპირი თავდასხმები, რელიგიური ექტრემისტების მხრიდან საქართველო-ვატიკანს შორის მომზადებული შეთანხმების ჩაშლაც და ანტიკათოლიკური ისტერიის აგორებაც, მაგრამ ნუნციუსი ყოველთვის რჩებოდა საპატრიარქოსათვის ანგარიშგასაწევ პიროვნებად.

ნუნციუს კლავდიო გუჯეროტის უშუალო მონაწილეობით განხორციელდა აზერბაიჯანსა და სომხეთში რომის პაპის იოანე-პავლე II-ის ვიზიტები. ამ ვიზიტების რეალური შედეგი ის გახლდათ, რომ 2001 წელს აზერბაიჯანის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა კათოლიკურ ეკლესიას ბაქოს ცენტრში საჩუქრად გადასცა მიწის ნაკვეთი, სადაც მალე მშვენიერი ტაძარი აიგო. ხოლო 2011 წლის გაზაფხულზე, პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა ხელი მოაწერა შეთანხმებას აზერბაიჯანსა და ვატიკანს შორის. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მუსლიმია და ამ ქვეყანაში სხვა კონფესიების წარმომადგენლებს უდიდესი პრობლემები აქვთ, და იმასაც, რომ კათოლიკე მრევლის რაოდნობა 300-350 კაცს არ სცილდება.

ბოლო ორი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც, საერთაშორისო მდგომარეობის გათვალისწინებით, დათბა ურთიერთობა საქართველოს ხელისუფლებასა და კათოლიკურ ეკლესიას შორის, და პრეზიდენტ სააკაშვილისა და პაპ ბენედიქტე XVI-ს შორის შეხვედრაც განხორციელდა, წმიდა ტახტის სადესპანოს მხრიდან გააქტიურდა მოთხოვნა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის იურიდიული აღიარებისა და შესაბამისი და ღირსეული სტატუსის მინიჭების შესახებ. 5 ივლისს საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში — რელიგიურ გაერთიანებათა სტატუსის შესახებ. მართალია, ეს კანონი საკმაო დაზუსტებასა და დამუშავებას მოითხოვს და ქონებრივი მხარე არ არის საბოლოოდ დაზუსტებული, მაგრამ ესეც დიდი მიღწევაა. იმედია, რომ, საქართველოს საპატრიარქოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის თანამშრომლობით, ეს კანონი ორივე ისტორიული ეკლესიისათვის მისაღებ სახეს მიიღებს; და ამ ორ უძველეს წმინდა სამოციქულო ეკლესიას შორის არსებული საუკუნოვანი თანამშრომლობა, რომელიც საკმოდ მრავალმხრივია, თუმცა ფართო მასებისათვის დაფარული, კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდება. ამ სასიკეთო საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილი ნუნციუს კლავდიო გუჯეროტისაც მიუძღვის. ალბათ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ნუნციუსის მიმართ მავან კათოლიკეებს მოკრძალებული საყვედურიც გამოუთქვამთ, მისი „ზედმეტად მშვიდობისმოყვარე“ და დამთმობი პოლიტიკის გამო, მაგრამ ისინი არ ითვალისწინებდნენ იმ დიდ პოლიტიკას, რასაც ვატიკანსა და აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებთან, მათ შორის, უპირველესად, რუსეთისა და საქართველოს ეკლესიასთან თანამშრომლობის დაწყება ჰქვია. ცხადია, გლობალური პოლიტიკა და ვიწრო ლოკალური, ერთი რომელიმე საკრებულოს დონეზე არსებული პრობლემების მოგვარება სხვადასხვა სიბრტყეებზეა. და თუ არ მოხდა მთავარ პრინციპებში შეთანხმება და თანამშრომლობა, ისე ვიწრო ლოკალური საკითხები ვერ გადაიჭრება. ასევე, ვიწრო ინტერესთა ჩარჩოებში დარჩენილ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ეკლესიათაშორისი პოლიტიკა დიდ დროზეა გათვლილი, და არა

მყისიერ დაპირისპირებებსა და წარმატება-წარუმატებლობაზე. ამის ნათელი მაგალითია მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, რომელიც საკუთარ ამბიციებზე მაღლა ეკლესიის ავტორიტეტს აყენებდა, და შედეგიც თვალნათელია. ცხადია, ეკლესიის პოლიტიკაც და ეკლესიათაშორისი ურთიერთობები საუკუნეებზეა გათვლილი. ათასწლეული გვაშორებს ეკლესიის განყოფიდან, და ამ ურთიერთობის ნორმალიზაციას საუკუნეებიც კი არ ჰყოფნის, მაგრამ ადამიანებს არ სურთ დიდხანს ლოდინი, ყველას უნდა, თავის სიცოცხლეში იხილოს წარმატება, მოესწროს უსამართლოდ დაკარგულის დაბრუნებას, მაგრამ ადამიანებს თავისი გეგმები აქვთ, ხოლო ღმერთს თავისი და ამ გეგმების დამთხვევა ნაკლებად ხდება. ყოველ შემთხვევაში, რწმენა იმისა, რომ უსამართლობა გამოსწორდება და გორის, ქუთაისის საკრებულოები თავიანთ ტაძრებს დაიბრუნებენ, მუდამ უნდა გვქონდეს. ნელა, მაგრამ სტაბილურად ყველაფერი აქეთკენ მიდის; აი, უკვე მალე დასრულ-

დება ახალციხის ტაძრის აღდგენა, თავის რიგს ელოდებიან სხვა საკრებულოებიც. ადგილობრივ ეკლესიას ჰყავს თავისი ეპისკოპოსი, ათეულობით მღვდელ-მონაზონი, სემინარისტი, მოქმედებს რამდენიმე სასულიერო ორდენი, საქველმოქმედო ორგანიზაცია, გამოიცემა სასულიერო წიგნები, მზადდება ახალი კადრები, მიღებულ იქნა კანონი, და პრეზიდენტი უკვე წელიწადში ორჯერ სტუმრობს კათოლიკურ კათედრალს. და რაც ასევე მნიშვნელოვანია, მოქმედებს წმინდა საყდრის სადესპანო, რომლის უპირველესი ფუნქცია ის არის, რომ კათოლიკეებსა და სხვებსაც რომის პაპთან უშუალო თანაზიარების განცდა შთაუნერგოს და ამას ამ ორი ათწლეულის მანძილზე სამივე ნუნციუსი წარმატებით ახორციელებდა.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა მოვახსენო მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის ჩემს მიერ ორგანიზებული სამეცნიერო სიმპოზიუმებისა და ჩემი სამეცნიერო კვლევების აქტიური მხარდაჭერისათვის, და ვუსურვო მას წარმატებები ბელორუსში დიპლომატიურ სარბიელზე მოღვაწეობისას. გამოვთქვამ იმედს, რომ მთავარეპისკოპოსი კვლავაც დარჩება საქართველოს აქტიური მხარდამჭერი და ქომაგი.

13 სექტემბერს მარიამის ზეცად აღყვანების კათედრალურ ტაძარში გაიმართა მის ყოვლადმაღალუსამღვდელოესობა კლავდიო გუჯეროტისთან გამოსამშვიდობებელი ცერემონიალი. აღევლინა წმ. წირვა, რომელსაც მთავარეპისკოპოსი უძღვებოდა. აღსანიშნავია, რომ მან წირვა ქართულ ენაზე წარმართა. ნუნცმა ქადაგებაში მადლობა გადაუხადა მორწმუნეებს ამ ათი წლის მანძილზე იმ თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, რასაც თითოეულისაგან გრძნობდა. მადლიერების ნიშნად, ეპისკოპოსმა ნუნცს სიმბოლური საჩუქრები უძღვნა: ღვთისმშობლის უძველესი ხატი, ქრისტიანობის ლექსიკონი (რომელიც ახლახანს გამოიცა ქართულად) და კათედრალის მაკეტი.

18 სექტემბერს გამოსათხოვარი ცერემონიალი და წმ. წირვა თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიაშიც აღევლინა. გამომშვიდობება ემოციური და ამაღელვებელი იყო.

ნუგზარ ბარდაველიძე

მომლოცველობა წმ. ნინოს საფლავზე

მორწმუნისთვის მომლოცველობა ძალიან დიდი მადლია. ეს არის სულიერი ზრდის შესაძლებლობა, ამიტომ ყოველი ქრისტიანი მომლოცველობას სერიოზული პასუხისმგებლობით ეკიდება.

ბოდბეში მომლოცველობამ წარუშლელი კვალი დატოვა ჩემზე. ამ სავანეში დასვენებულია წმ. ნინო — მოციქულთა სწორი, ქართველთა დიდი განმანათლებელი.

მე მის საფლავზე ჩემი ახლობელი და საყვარელი ადამიანების თხოვნა და პრობლემები ჩავიტანე, ამიტომ მთელი სულითა და გულით ვლოცულობდი, რომ ეს მომლოცველობა ჩემთვის და იმ ადამიანებისათვის შედეგიანი ყოფილიყო. შეუძლებელია იმ გრძნობის გადმოცემა, რომელმაც ჩემში დაისადგურა და მთელი ჩემი არსება მოიცვა, როდესაც წმიდანის საფლავზე დაჩოქილი ვლოცულობდი. ეს ის წამია, როდესაც ცხადდება ბევრი ამქვეყნიური ამაოება და ყველაფერზე მაღლა დგება ადამიანის ნამდვილი მისია, მისია სიყვარულისა, თანადგომისა, დათმობისა, პატიებისა თანაზიარებისა... მაგრამ ზოგჯერ ძალიან რთულია ყოველდღიურ ცხოვრებაში მიიღო სწორი და ქრისტიანული მოძღვრების შესაფერი გადაწყვეტილება, ამიტომ კარგია, როცა საშუალება გეძლევა გამოფხიზლებისა და ამაღლებული შეგრძნებების განცდისა.

მართალია, ეს ეკლესია მართლმადიდებლურია, მაგრამ ქრისტიანების საერთო სალოცავია და გული მტკივა, როდესაც ზოგიერთი მათგანის მხრიდან სხვაგვარ დამოკიდებულებას ვგრძნობ. აქვე უნებურად მახსენდება სიტყვები პავლე მოციქულის პირველი წერილიდან კორინთელთა მიმართ: „ხოლო მე შეგაგონებთ, ძმანო, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, რომ ყველანი ამბობდეთ ერთსა და იმავეს და არ იყოს თქვენში განხეთქილება, არამედ გაერთიანებულნი იყოთ გონებით და აზრით“ (1,10).

ჩვენმა ერთ-ერთმა მოძღვარმა მთხოვა მელოცა, რომ საქართველოში არ იყოს რელიგიური დაპირისპირება. მთელი გულით შევთხოვდი წმ. ნინოს, რომ მიეღო ჩემი ლოცვა, რომ საქართველოში აღარ არსებობდნენ რელიგიურ ნიადაგზე დაპირისპირებული ადამიანები, გვახსოვდეს, რომ ჩვენ, ყველანი, ქრისტეს შვილები, მისი ერთიანი სხეული ვართ.

ბოდბედან ყველა ჩემს ახლობელს პატარ-პატარა სუვენირები წამოვუღე საჩუქრად, რათა ისინი ჩემი მომლოცევლობის თანაზიარნი გამეხადა.

მომლოცველობის ორგანიზატორები იყვნენ ჩვენი საკრებულოს მონაზვნები, ჩვენთვის ძალიან საყვარელი ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურად ამოწმებენ ქრისტეს თავიანთი მართალი და ღირსეული ცხოვრებით. მათთან ნებისმიერი შეხვედრა არის სიმშვიდის, თავმდაბლობის, ამაღლებული სულიერი განწყობის მომენტი. მადლობა მათ ამ მომლოცველობისათვის და მადლობა ღმერთს, რომ ისინი არსებობენ.

ამ მომლოცველობით კმაყოფილი, ბედნიერი და სულიწმიდით აღვსილი ვარ.

ჩემი ლოცვა ყოველდღე ასე იწყება და მთავრდება: უფალო იესო ქრისტე, მთელი ჩემი მადლიერება შენ, მთელი ჩემი გული, სხეული, ნება შენ, იმისათვის რომ შემოხვიდე ჩემში და ყოველი დღე გავატარო შენში, შენთან და შენთვის.

ყველას და ყველგან გფარავდეთ უფალი!

დაე, ყველა თქვენგანის გული გალობდეს ისე, როგორც 107 ფსალმუნშია: „მზად არის ჩემი გული, ღმერთო, მსურს გაქო და გიგალობო; გამოიღვიძე, სულო ჩემო!“

ლელა მამუკაშვილი

ივლიტა

„ასტერიქსი და ობელიქსი"

16-26 აგვისტოს „საქართველოს კარიტასი"-ს სოციალურ-პასტორალურმა დეპარტამენტმა, საერთაშორისო დონორების, კერძოდ კი „კარიტას ამბროზიანას" (მილანი), დახმარებით, კახეთის რეგიონის კათოლიკური სამრევლოების ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის მოაწყო მოხალისეთა ბანაკი ლაგოდეხის რაიონის სოფელ გურგენიანში (ხიზაბავრა). 16 აგვისტოს, საღამოს, სანავარდოდან, მთისძირიდან, ხიზადან და ხიზაბავრიდან მოსული ახალგაზრდები დაბინავდნენ ხიზაბავრის წმ. ნინოს კათოლიკური ეკლესიის ეზოში დადგმულ კარვებში; მათ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ათი მოხალისე დახვდა და ბანაკის ცხოვრებაც დაიწყო კოცონთან ერთმანეთის გაცნობით. მოხალისეთა ბანაკის სახელწოდება იყო „ასტერიქსი და ობელიქსი", ეკლესიის ეზო, სადაც ბავშვები ცხოვრობდნენ, „გამოცხადდა" გალების სოფლად, ხოლო მასში მცხოვრებნი გალებად, რომელთაც ათი დღის განმავლობაში წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ რომაელთათვის და ჯადოსნური მიქსტურა მოემზადებინათ. ახალგაზრდები ყოველდღე, ინტელექტუალური და ფიზიკური თამაშების მეშვეობით, ცდილობდნენ მიქსტურისთვის საჭირო ინგრედიენტების მოძებნას და ამისთვის საკმაოდ დიდი მანძილის გავლასაც არ უშინდებოდნენ. 20 აგვისტოს ბანაკში მყოფი ბავშვებისთვის მოეწყო ექსკურსია თელავში, ალავერდსა და ნეკრესში, სადაც მათ ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს, ხოლო ახალგაზრდები გაემგზავრნენ წეროვანში კათოლიკე ახალგაზრდების შეხვედრაზე. ბანაკის დასასრულს, მისმა მობინადრეებმა, რამდენიმე დღიანი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, იპოვეს ჯადოსნური მიქსტურის დასამზადებლად საჭირო ინგრედიენტები: მიღება, მოსმენა, თანამშრომლობა, მიტევება, ნდობა და თანაზიარება; მომზადდა „ჯადოსნური მიქსტურა" – გამარჯვების საწინდარი, რომელშიც ჭეშმარიტმა გალებმა ამოიცნეს ევქარისტია!

„სიყვარული დაფრინავდა ჩვენს შორის", – დაწერა შთაბეჭდილებების ფურცელზე ერთ-ერთმა მონაწილემ ბანაკის დასასრულს. მართლაც, თითოეული ბავშვი მუდამ გრძნობდა სიყვარულს, ერთობასა და სითბოს. „მე ამ ბანაკში დავინახე და ვისწავლე მეგობრობა, ძმობა, ერთმანეთისადმი პატივისცემა... ყველასთან მეგობრულად ვარ, ბანაკიდან არაფერი უარყოფითი არ მიმყვება", – თითქმის ყველა მსგავსი შინაარსის წერილი აღმოჩნდა შთაბეჭდილებების ყუთში. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა პირველად ესწრებოდა ყოველდღიურად წირვა-ლოცვას. „სულიერი ცხოვრების გარეშე კარგები ვერ ვიქნებოდით... ამისთვის მადლობა უნდა გადავუხადოთ მამა იეჟის და დიაკვან ედვარდს, რომლებიც მოგვიწოდებდნენ მიტევებისა, ნდობისა და თანაზიარებისაკენ". ბანაკის ერთ-ერთი მონაწილეს ეს აზრი მთლიანად ეთანხმება იმ სულისკვეთებას, რითაც დამთავრდა ხიზაბავრაში ერთად გატარებული ლამაზი 10 დღე.

ედვარდ გოგილაშვილი,
ვასილ ბალიაშვილი

მოხალისეობა ოჯახად კეთილი საქმე

მოხალისეობა საქართველოში ნაკლებად პოპულარული თემაა. მიუხედავად იმისა რომ 2011 წელი მსოფლიოში მოხალისეობის წლად გამოცხადდა, საქართველოში ყველაზე ნაკლებად შეიმჩნევა აქტიურობა ამ კუთხით.

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ამგვარი გამოცდილება ცხოვრებაში, დამეთანხმება, რომ იმაზე ლამაზი და სასიამოვნო ქვეყნად არაფერია, ვიდრე სიკეთის საკეთებლად დახარჯული ძალა და ენერგია. მოხალისეობა კი ორმაგად კეთილი საქმეა, პირველ რიგში, რამდენ გაჭირვებულ ადამიანს ულამაზებ ცხოვრებას, თანაუგრძნობ, მეორეც, რამდენადაც ეხმარები სხვას, იმდენად ეხმარები საკუთარ თავს. ეხმარები იმაში, რომ ისწავლო ცხოვრება, კარგად ცხოვრება, უბრალოდ და ბედნიერად ცხოვრება. ცალ-ცალკე, ინდივიდუალურად ალბათ ბევრ ჩვენგანს ჰქონია მოხალისეობის გამოცდილება, მაგრამ განსაკუთრებით ლამაზია მოხალისეობა ბანაკის სახით.

მინდა, უფრო დეტალურად გიამბოთ გორის მოხალისეთა ბანაკის შესახებ, რომელიც მოეწყო 2011 წლის 16-26 ივლისს, კარიტასის სოციალურ-პასტორალური დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მამა იეჟი პილუსის ინიციატივითა და სულისჩადგმით. მის დაგეგმვასა და ორგანიზებაში დიდი დახმარება გაგვიწია დიაკვანმა ედვარდ გოგილაშვილმა, რომელიც ფორმაციულ შეხვედრებს გვიტარებდა, რაც საკმაოდ საინტერესო და ნაყოფიერი იყო გორის მოხალისეთა საინიციატივო ჯგუფის მუშაობისათვის.

ბანაკში მონაწილეობდა ოცდახუთი ახალგაზრდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მათი უმრავლესობა პირველად იყო მოხალისეთა ბანაკში. ჩვენს შორის იყვნენ აგრეთვე გამოცდილი უცხოელი მოხალისეები: იტალიელი კლავდია

სანდრი, ვალენტინა პრატი და ხორვატი დარიო სუნჯიკი, რომელთაც თავიანთი მრავალფეროვანი და საინტერესო გამოცდილება გაგვიზიარეს და მოხალისეობის დიდი მაგალითი გვიჩვენეს. ერთი დღით გვესტუმრა წეროვანის მებაღეთა კოლექტივიც, რომელთაც დიდი დახმარება გაგვიწიეს საბავშვო ბაღის ეზოში მდებარე პატარა სკვერის გალამაზებაში.

ამ ათი დღის განმავლობაში ჩვენ ვმუშაობდით ორ საბავშვო ბაღში, სადაც ძირითადი საქმიანობა იყო ატრაქციონებისა და სათამაშოების მოხატვა- შეღებვა, ტერიტორიის დასუფთავება, ეზოს გალამაზება. დილის ბიბლიური საკითხავებით ინსპირირებულნი, მართლაც ხალისითა და სიყვარულით ვეკიდებოდით საქმეს.

საღამოობით გვქონდა ფორმაციული შეხვედრები მამა იეჟისთან, დიაკვან ედვარდთან და ჩეხ ფსიქოლოგ სარასთან, რაც ყველაზე საინტერესო იყო ჩემთვის ამ ბანაკში. გამოცდილ მოხალისეთა მიერ ცოცხალი მაგალითებით გაზიარებულმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ჩვენზე წარუშლელი და შთამბეჭდავი კვალი დატოვა.

ბანაკის განმავლობაში გვქონდა ორი ექსკურსია, რამაც ხელი შეუწყო ჩვენს გაცნობა-დაახლოებას, და რაც განტვირთვის კარგი საშუალება იყო დატვირთული სამუშაო დღეების შემდეგ. ბოლო დღეს, შთაბეჭდილებების გაზიარებისას, ყველამ ამგვარი პროექტების გაგრძელების სურვილი გამოთქვა და თავიანთი რეკომენდაციები და იდეები შემოგვთავაზეს.

სავალალო მდგომარეობაში მყოფი საბავშვო ბაღების ხალისიანი, მხიარული ფერები, მოხალისე ახალგაზრდების განწყობა, ენთუზიაზმი და მომავალში კვლავ შეკრების სურვილი მოწმობდა იმას, რომ გორის მოხალისეთა ბანაკი წარმატებული აღმოჩნდა.

ნატო ალავერდაშვილი

კახეთში გატარებული დაუვიწყარი დღეები

უჩვეულო და ხანგრძლივი არდადეგები გამოუვიდათ წელს თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესიის ბავშვებსა და მოზარდებს. ამჯერად მათ, ასპინძის ხიზაბავრის ნაცვლად, კახეთის ხიზაბავრა მოინახულეს და სხვაც ბევრი რამ ახალი და დაუვიწყარი ნახეს.

შედგა დამსვენებელთა ექვსი ნაკადი.

დამსვენებელთა პირველი ნაკადი — 8-დან 14 წლამდე ასაკის ოცდაერთი ბავშვი და მათი მომვლელები ივლისში გაემგზავრნენ კახეთში. წასვლის სურვილი გაცილებით ბევრმა გამოთქვა, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში გავრცელდა ხმა, კახეთში გველები მომრავლდნენო. რადგანაც ბიჭებს კარვებში უნდა ეცხოვრათ, ბევრი დააფრთხო გველების შიშმა და წასვლა გადაიფიქრეს. შემდეგ, როგორც იქ მყოფებმა აღნიშნეს, არც ერთი გველი არ უნახავთ. ასე რომ, მათ ბევრი დაკარგეს.

კახეთში გატარებული დღეების შესახებ თავისი შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვე ბავშვების ერთ-ერთ მომვლელს, ქალბატონ ნინა მელიქ-მარუტოვას. აი, რა მიამბო აღტაცებულმა ქ-ნმა ნინამ: „ეს იყო ნამდვილი რომანტიკა. ბიჭები კარვებში ცხოვრობდნენ, რამაც გაალამაზა და დაუვიწყარი გახადა მათი დასვენების დღეები.

ყოველი დილა ვარჯიშით იწყებოდა, შემდეგ ლოცვები, საუზმე და წმ. წირვა. ყოველდღე დავდიოდით მდინარეზე; ეს გრაფიკი მაშინ ირღვეოდა, როცა ექსკურსიაზე გვიწევდა წასვლა. ბავშვები აღაფრთოვანა ლაგოდეხის ნაკრძალის ნახვამ. გიდმა ძალიან საინტერესოდ მოგვითხრო ნაკრძალის შექმნის ისტორია (იგი დაუარსებია ერთ პოლონელ მისიონერს), გვესაუბრა მის ფლორასა და ფაუნაზე, იმ უნიკალურ ხეებზე (ლიბანის კედარი, ტინგის ხე და სხვა), რომლებიც ნაკრძალში იზრდებიან.

მაგრამ ყველაზე დაუვიწყარი და განსაცვიფრებელი სანახაობა იყო წმ. ნინოს ჩანჩქერი, რომლის სანახავადაც მამა ადამ ოხალმა წაგვიყვანა. საოცარია, რომ ამ ძალიან ძნელად სავალ გზაზე მამაცურად იარეს თვით ყველაზე პატარებმაც კი. ეს მათ, რა თქმა უნდა, ღმერთმა შეაძლებინა. ამის საზღაური კი ჩანჩქერის თავზე აღსრულებული ევქარისტია იყო.

დასვენებისთვის ნამდვილად არ გვრჩებოდა დრო: სხვადასხვა შეჯიბრებები, თამაშები, სპექტაკლები, სცენები და სხვა. ათმა დღემ შეუმჩნევლად გაიარა. მადლობა ღმერთს, მადლობა მამა ადამს, მადლობა სემინარისტ ვიტოლდს და

შაკოს“.

დამსვენებელთა მეორე ნაკადი თოთხმეტი მოზარდისგან შედგებოდა. მათთან ერთად იყვნენ მამა მა-

▶ 10 გვ.

◀ 9 გვ.

ჩეი მამაი და მამა არტურ გარბეცკი. დღის განრიგი თითქმის იგივე იყო, რაც წინა ნაკადს ჰქონდა, მაგრამ მათ შეძლეს და მოილოცეს ნეკრესის მონასტერი.

მესამე ნაკადად კი, მამა ადამის ინიციატივით, ეკლესიის

მგალობელთა გუნდი გაემგზავრა. ამის შესახებ უკვე დაიწერა „საბას“ სექტემბრის ნომერში. ჩვენი დასვენება ცოტათი განსხვავებული იყო. გუნდში უმრავლესობა ასაკოვანი ქალბატონები ვიყავით და, რა თქმა უნდა, ჩანჩქერზე ვერ წავედით, მაგრამ მაინც დიდი სიამოვნება მივიღეთ. მინდა აღვნიშნო ქ-ნ ნინა მელიქ-მარუტოვას დიდი ენერგია და შრომისმოყვარეობა. მან თავის თავზე აიღო გუნდის წევრთა გამოკვება და ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა, რისთვისაც მისი დიდად მადლიერნი ვართ.

აქვე მინდა აღვნიშნო მომავალი სემინარისტის შალვა მარკოზაშვილის (შაკოს) დიდი მუყაითობა. ყველა განგვაცვიფრა მისმა მონდომებამ. იგი ყველაფერს დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით აკეთებდა. ის მისაბაძი მაგალითია თავისი თანატოლებისათვის. ვუსურვებთ წარმატებას მის არჩევანში.

შემდეგ ნაკადს გოგონების ჯგუფი შეადგენდა. ამის შესახებ ერთ-ერთი მონაწილე, ნათია ხითარიშვილი მოგითხრობთ: ახალგაზრდებმა, მამა არტურის ხელმძღვანელობით, დავგეგმეთ რეკოლექცია კახეთში. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, წმ. წირვის შემდეგ, ცამეტი ახალგაზრდა კახეთისაკენ გავემართეთ. ეს გზა იყო არა მხოლოდ კახეთისკენ, არამედ ღვთისკენ მიმავალი. მოვინახულეთ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, სამახსოვრო ფოტოებიც გადავიღეთ და, როგორც იქნა, დანიშნულების ადგილსაც მივაღწიეთ. ძალიან დაღლილები ვიყავით და მალე დასაძინებლადაც გავეშურეთ, რათა მეორე დილით, დასვენებულებს, უკეთ შეგვძლებოდა ღმრთის სიტყვის მოსმენა და მისი გაცნობიერება. ყოველი დილა წმ. წირვით იწყებოდა, შემდეგ რეკოლექციები..., მაგრამ დრო გასართობადაც ბევრი გვრჩებოდა. საშუალება გვქონდა, დავმტკბარიყავით კახეთის ულამაზესი ბუნებით, ხშირად დავდიოდით მდინარეზე, ჩანჩქერზე; თუმცა გზა იქამდე ძნელად მისასვლელი და გაუვალი იყო, მაგრამ ღირდა ყოველივე ამად, რადგანაც ულამაზესი ჩანჩქერი და ტყე მოვინახულეთ.

კახეთში გატარებული ხუთი დღის განმავლობაში საკმარისი დრო გვქონდა იმისათვის, რომ თითოეული ჩვენგანი საკუთარ ცხოვრებაზე დაფიქრებულიყო, ჩაღრმავებოდა საკუთარ „მე“-ს, გაეხსნა გული და გონება უფლის სიტყვის მოსასმენად და შესამეცნებლად.

კარგი იქნება, თუ მსგავსი შეხვედრები ხშირად მოეწყობა, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია, უფრო მეტმა ადამიანმა გაიგოს, რა სურს უფალს ჩვენგან.

მთელი ჯგუფის სახელით, მადლობას მოვახსენებ მამა არტურს.

უჩვეულო იყო მეხუთე ნაკადი: მამა იეჟი პილუსმა და დიაკვანმა ედვარდ გოგილაშვილმა კახეთიდან შეკრიბეს ორმოცდაორი ბავშვი. კახელებმა კახეთში დაისვენეს! ამ შეხვედრის შთაბეჭდილებებზე „საბას“ ამავე ნომერში მოგვითხრობს ვასილ ბალიაშვილი.

და ბოლოს, მეექვსე ნაკადი. კახეთიდან დაბრუნებული ბავშვები იმდენად კმაყოფილები იყვნენ დასვენებით და იქ მიღებული შთაბეჭდილებებით, რომ სულ ამაზე საუბრობდნენ. ამან დააინტერესა ჩვენი ეკლესიის ნეოკატეხუმენური საკრებულოს ბავშვები და მათაც მოინდომეს ხიზაბავრაში დასვენება. მათ მამა არტური უწევდა ხელმძღვანელობას. ისევ და ისევ ღვთის დიდება, ლოცვები, წირვები, თამაშები და... ჩანჩქერი. მათ ჩანჩქერზე წასვლა დიდი წყალდიდობის შემდეგ მოუხდათ, რის გამოც ისედაც ძნელად სავალი გზა ერთიორად რთული და გაუვალი აღმოჩნდა. ახალგაზრდებმა ყველა სიძნელე გადალახეს და დატკბნენ ჩანჩქერის სილამაზით.

თვალის დახამხამებაში გაიქროლა ექვსმა დღემ. ბავშვებს შინ დაბრუნება აღარ უნდოდათ.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე წლის წინ ხიზაბავრაში დასვენება წარმოუდგენელი იყო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო. მაგრამ ახლა ყველაფერი გაკეთებულ-გალამაზებულია და ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა კომფორტულად დაისვენონ. ამ მიმართულებით დიდი გეგმებიც აქვთ სამომავლოდ.

გმადლობთ, ღმერთო, შენი სიყვარულისათვის!

მადლობა ეპისკოპოს ჯუზეპე პაზოტოს, მამა ადამს, ჩვენს ყველა მღვდელს!

მადლობა სოფ. ხიზაბავრის მაცხოვრებლებს, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ დამსვენებლებს.

ნადია ჩიტაძე

▶ 11 გვ.

კონსტანტინოპოლის პატრიარქი ფოტიოს I

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“ №7–№9)

ფოტიოსის ლიტერატურული ნაშრომები

VII და VIII საუკუნეები ბიზანტიის „ბნელ ხანას“ („dark Ages“) წარმოადგენდა: ისლამის თავბრუდამხვევმა გავრცელებამ წერტილი დაუსვა „mare nostrum“-ით გაჟღენთილ მიწაზე ბერძნულ-რომაულ პოლიტიკურ და კულტურულ ერთიანობას. არც არაბები ყოფილან ბიზანტიის ერთადერთი მტრები ამ პერიოდში: დუნაისა და ბალკანეთის მთათა სისტემას შორის მოქცეული სლავები და ბულგარელები გამალებით უტევდნენ მას და დამოუკიდებელ და საშიშ იმპერიას აყალიბებდნენ თავად ბიზანტიის ტერიტორიაზე, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში; ლანგობარდები იტალიის ნახევარკუნძულზე შეიჭრნენ და სულ მოკლე ხანში ქარს გაატანეს იუსტინიანეს მიერ მოპოვებული სამხედრო და ეკონომიკური უპირატესობები. IX საუკუნის განმავლობაში, მუსლიმანთა ექსპანსია კრეტამდე ვრცელდებოდა (826 წ.) და თითქმის საუკუნის მესამედი მოანდომეს მათ მთელი სიცილიის დაპყრობას, რითაც მოახერხეს სამხრეთ იტალიის და თვით ადრიატიკის დაუფლება. ამ, გარე ბოროტ ძალებს, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლას იმპერიამ მთელი ენერგია შეალია, დაემატა შიდა უთანხმოება, ანუ ე.წ. იკონოკლასტიით გამოწვეული კრიზისი, რომელიც საუკუნეზე მეტხანს (726-843) გაგრძელდა და ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური და რელიგიური ცხოვრების დესტაბილიზაცია გამოიწვია, ხოლო დიდი ხნის მანძილზე სერიოზულმა დაპირისპირებებმა კი კულტურული დეგრადაცია: მწირია ამ პერიოდის ლიტერატურული და ხელოვნების ნიმუშები. დაეცა ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკური დონე, რის შედეგადაც მოხდა ფულის ინფლაცია. შემცირდა სამშენებლო სამუშაოები, აქა-იქ თუ შენდებოდა ციხე-სიმაგრეები. იმპერატორებს, რომლებიც თავდაუზოგავად ცდილობდნენ საკუთარი იმპერიის საზღვრების დაცვას, ყურადღების მიღმა რჩებოდათ საუნივერსიტეტო საქმიანობა, რაც ბიზანტიას ყოველთვის უზრუნველყოფდა კარგად მომზადებული ჩინოვნიკებით; ასევე მნიშვნელოვნად დაეცა ლიტერატურის დონე, რომელიც უფრო მეტად „საერო“ ხასიათს ატარებდა. სამაგიეროდ, ლამის ყველგან მოიკიდა ფეხი სამონასტრო კულტურამ, ტრადიციულად პროფანული, იგივე „ელინური“ კულტურის საპირისპიროდ, რასაც წარმართულად და ეშმაკისეულად თვლიდნენ. მაგრამ IX საუკუნის დასაწყისში გამოცოცხლება იწყება. კულტურის სფეროში წარჩინებულ ფიგურათა მხრივ, გამოირჩევა მაკედონიის დინასტია. გამოცოცხლება თითქმის ყველა სფეროში შეიმჩნევა: ეკონომიკის სფეროში – სავალუტო ბრუნვის ზრდით, ხელოვნების სფეროში – საჯარო დაწესებულებათა გაფართოებით; პოლიტიკაში – არაბულ სამყაროსთან სტაბილური ურთიერთობებით; და ბოლოს, კულტურის დარგში – გვიანდელი, ანტიკური კულტურის შედევრების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით, მეცნიერული თუ საღვთისმეტყველო და ლიტერატურული ტექსტების შესწავლითა და კოპირებით. აქედან მოყოლებული, საუკუნეების მანძილზე, თვით ლათინთა მიერ დაპყრობამდე (1204 წ.), კონსტანტინოპოლი ერთპიროვნულად ინარჩუნებს კულტურულ მონოპოლიას იმპერიაზე და აყალიბებს ერთადერთ ცენტრს, რის ირგვლივაც მოძრაობს მთელი ბიზანტიური სამყარო; აი, სწორედ ამ გარემოში უხდებოდა ფოტიოსს მოღვაწეობა; გარდა იმისა, რომ ფოტიოსი ეწეოდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, იგი წარმოგვიდგება აგრეთვე როგორც თეოლოგი, ეგზეგეტი, მქადაგებელი, ბულგარელების, მორაველებისა და სერბების მისიით დაინტერესებული მწყემსი. ის, რაც მისი ნაშრომებიდან შემოგვრჩა, მიუხედავად პირველწყაროს დამახინჯებული სახისა, უზარმაზარ ინტერესს იწვევს და ყველა სფეროში მის უდიდეს განსწავლულობაზე მეტყველებს, იქნება ეს გრამატიკა, ლოგიკა, დიალექტიკა, მეტაფიზიკა, ეგზეგეტიკა თუ თეოლოგია; ყველა ამ საგანს იგი ჯერ კიდევ თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის დროს ხვეწდა. უფრო მოგვიანებით კი, პირველი გაძევების პერიოდში (867-874), მან წერილობითი სახით წარმოადგინა მრავალი ფილოსოფიური, თეოლოგიური ნააზრევი, ყველაფერი ის, რაც მის გონებაში პედაგოგიური მოღვაწეობის დროს დაიბადა. ფოტიოსის ნაშრომებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: Le Questioni ad Antifilochio (ფილიოკვეს საწინააღმდეგოდ), რომელშიც განხილულია გრამატიკული, ფილოსოფიური და თეოლოგიური საკითხები; ასევე საყურადღებოა ფოტიოსის ნაშრომი „ბიბლიოთეკა“, რომელიც „შუასაუკუნეების ლიტერატურის ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს“ (კ. კუმბახერი). ფოტიოსის ფართო ინტერესის სფეროზე და გამოცდილებაზე მეტყველებს მისი წერილები, ხოლო მის ღრმა ეკლესიურ განსწავლულობაზე ლიტურგიული ტიპიკონი – Typicon liturgico და Nomocanone. ფასდაუდებელია ფოტიოსის ამაგი ყველა ევროპული ქვეყნის საკანონმდებლო უფლებების ისტორიაში; მან დიდი წვლილი შეიტანა ჯერ ბასილი I ბიზანტიელისა და შემდეგ მისი ძის, ლეონ VI ბიზანტიელის მიერ გამოცემული ნორმატივების შემუშავების საქმეში (ე.წ. Basilici). დიდი ამაგი დასდო ფოტიოსმა ბიზანტიურ ლიტერატურას. მისი ნაშრომები დაცულია ბერძნულ პატროლო-



გიაში (Patrologia Greca del Migne, გვ. 101-104), რასაც მკაცრი პრეზენტაცია აქვს წამძღვარებული: „ Doctrina celebris, at facinoribus, quibus diu ecclesiam perturbavit, et taeterrimum schisma inauguravit [...] callidus, hypocrita, ambitiosus, falsarius, schismaticus, tyrannus'.

„ბიბლიოთეკა", რომელიც ფოტიოსმა თავისი ძმის, ტარასიუსის თხოვნით შეადგინა, ბერძნული და ბიზანტიური ლიტერატურული ნაწარმოებების მიმოხილვაა. სწორედ ყველანაირი ლიტერატურული ჟანრის 279 სქოლიოსგან (ე.წ. ეპიტომია, ანუ ამონარიდები, იგივე კოდექსები) შედგა მისი წიგნი.

რომ არა ფოტიოსის ეს ნაშრომი – „ბიბლიოთეკა" (რომელიც ასევე ცნობილია Myriobiblon-ის სახელით, ანუ ათასი წიგნი), – რომელიც, ანტიკური ხანის რამდენიმე ნაშრომის მსგავსად, მრავალ საკითხზე გვიქმნის ნათელ წარმოდგენას, – კლასიკური სამყარო სამუდამოდ დაკარგავდა ბევრ რამეს: მასში მოთავსებულია 90 ნაშრომი, მათ შორის ჰეროდოტეს სხვადასხვა ნაწარმოები; ამ წიგნით სხვა ისეთ წიგნებს შეგვიძლია გავეცნოთ, რისი წაკითხვის შესაძლებლობაც ალბათ არასოდეს მოგვეცემოდა. ფოტიოსი რეცენზორის ერთგვარი არქეტიპი გახლდათ, სანტბერიმ (Saintsbury) მას თამამად უწოდა „რეცენზორების პატრიარქი". მის ამ კრებულში მხოლოდ პროზაიკოსები არიან წარმოდგენილნი, ჩამოთვლილ ავტორთა შორის არიან როგორც ქრისტიანები, ასევე წარმართები, რომლებიც ჩვ.წ.აღ-მდე V საუკუნესა და ჩვ.წ. აღ-ის IX საუკუნის მომცველ ხანგრძლივ პერიოდს განეკუთვნებიან; ცხადია, კრებულში ქრისტიანულ ლიტერატურას მეტი ყურადღება აქვს დათმობილი, სულ 157 სქოლიო, ხოლო წარმართულს – 122. ნაშრომში არ არის დაცული ქრონოლოგიური სიზუსტე, და არც სხვა რაიმე წესრიგი, ალბათ იმიტომ, რომ ნაჩქარევად არის შედგენილი. თუმცა მაინც შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა: კრების აქტები, საეკლესიო ისტორიები, ისტორიოგრაფია, ანტიერეტიკული ნაწარმოებები, ლექსიკა, მითოგრაფია, პარადოქსოგრაფია, მედიცინა, მჭევრმეტყველება. აქ არ უნდა გამოგვრჩეს პატრიარქ ნიკიფორე I კონსტანტინოპოლელის (806-815) ნაშრომები. ნაწარმოებთა გრძელი ჩამონათვალი სხვადასხვა მოცულობისაა, რამდენიმე აბზაციანი თუ სამოცდაათ გვერდამდე. Bibliotheca-ს პრობლემატურ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს წყაროები, რასაც სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვაგვარად განიხილავდა: ზოგი იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ყველა წიგნი, რაზეც ფოტიოსი წინასიტყვაობაში საუბრობს, და ერთადერთი ჟანრობრივი ფორმა, რასაც იგი მისდევს, შემთხვევითია, ანუ გაფანტულად წარმოდგენილი ნაშრომები იმაზე მეტყველებს, რომ ფოტიოსმა ზეპირად იმუშავა მათზე; ეს მეთოდი ძველად სრულებით არ იყო უცხო, მით უფრო, რომ გამორჩეული მეხსიერებით დაჯილდოებული ადამიანები მრავლად იყვნენ, და ამ ნიჭს უსათუოდ ფლობდა ფოტიოსიც; თუმცა სხვანი თვლიან, რომ ამგვარი დედუქცია იყო უფრო ძალდატანებითი და მოკლებული კონკრეტულ მაგალითებს, რაკიღა თავად ფოტიოსი დასძენს, რომ მათ „კოპირებას" ახდენდა; მოკლედ, ამ ნაშრომის კომპოზიციის ირგვლივ გამართულმა დისპუტებმა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გადაფარა: ჰქონდა თუ არა წაკითხული ფოტიოსს ყველა ნაშრომი, რაზეც იგი გვესაუბრება; მან ხომ მთელი კეთილსინდისიერებით განაცხადა, რომ ვერ შეძლო ლიტურგიული ლოცვების (Orazioni di Licurgo) წაკითხვა; Bibliotheca-ში გაპარული ინფორმაციული სახის შეცდომები კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, რომ წიგნი ნაჩქარევი ნამუშევარი უფროა, ვიდრე ზედაპირული. ნაშრომის სტრუქტურულ სრულყოფილებაზე არანაირი ეჭვი არ აღიძვრის, ოღონდ ეს კია, რომ ტექსტში რამდენიმე ისეთი გამოუსწორებელი შეცდომაა გაპარული, რაც ზოგადად ახასიათებს მანუსკრიპტულ ტრადიციას, იგი უფრო საბოლოო კორექტირების არარსებობას მიეწერება; თუმცა, Bibliotheka-ს ნამდვილი ნაკლი სულ სხვა რამეშია. ამბობენ, რომ ვოლტერმა ასეთი რამ თქვა: „ ლექსიკონი, ციტატების გარეშე, ნამდვილ ჩონჩხს წაგავს". ეს აქსიომა ცალსახად ეხება ლიტერატურულ კრიტიკას. სამწუხაროა, რომ ფოტიოსი არ გაყვა დიონიგე ალიკარნასელის (Dionigi di Aalicarnasso) მაგალითს, რომელმაც თუკიდიდეზე (Tucidide) დაწერილ თავის ესეში ზედმიწევნით განიხილა მთელი რიგი პასაჟები. იმის გასაგებად, თუ რა იგულისხმებოდა სუსტ სტილში, დიონიგემ თავის გემოვნებას მოარგო და ისე გადაწერა დაუზიანებელი (incriminati) პასაჟები. ნაშრომი იწყება და სრულდება ფოტიოსის ორი წერილით, რომელიც მან თავის ძმას, ტარასიუსს გაუგზავნა. მას მოსდევს ნაწარმოების მოკლე შინაარსი და სრულდება მისი მორალური და სტილისტური შეფასებით, და იმავე ლიტერატურული ჟანრის მიმდევარ სახელოვან ავტორებთან კონფრონტაციით. ფოტიოსის დამოკიდებულებაში პროზაიკოსთა მიმართ დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს მისი ინტერესი იმ ეფექტებისადმი, რასაც ისინი მსმენელებზე ახდენდნენ. ხმამაღლა კითხვა ანტიკურ ხანაში წესად იყო, და ეს წესი მოქმედებდა ბიზანტიაშიც. თანამედროვე კრიტიკა, დროდადრო, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მწერლის მიერ მიღწეულ ხმოვნების ეფექტებსაც:ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გავიხსენოთ ცნობილი დისკუსია ელიოტისა მილტონთან. ფოტიოსი ისტორიკოსების დიდ ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ არა მხოლოდ კარგი სტილისტიკის გამო. გარდა იმისა რომ ეს ასპექტი ფრიად საგულისხმოა მათ თვალში, ფოტიოსის მითითებები საშუალებას აძლევენ თანამედროვე ისტორიოგრაფებს, დააზუსტონ მრავალი კლასიკური, ბერძნული და ბიზანტიური წიგნის თარიღები. მიუხედავად ქრისტიანი მწერლების პრედომინაციისა, ფოტიოსში დიდ ინტერესს იწვევს ეროტიკული რომანსები. ასე რომ, Bibliothec –ის ექვსზე მეტ კოდექსში მთავარ პერსონაჟებად მათ გვთავაზობს: ანტონ დიოგენი, ჯამბლიკო (Giamblico), ელიოდორი (Eliodoro), აკილე ტაციუსი, ლუჩანო სამოსატელი, ლუჩიო პატრელი. აღნიშვნის ღირსია ის სქემა, რომელიც ეხება ბაბილონელთა ისტორიებს. ჯამბლიკოზე ცოტა რამ ვიცით: იგი სირიაში დაიბადა II ს-ში, ცხადია, ბერძნული კულტურის წარმომადგენელი და ალბათ რიტორიკის პედაგოგი იყო. ეს რომანი, რომლის სიუჟეტი ბაბილონში იშლება, იმ დიდ პერიპეტიებზე გვიყვება, სადაც შეყვარებული წყვილი, როდანე და სიდონიდე, იძულებულები არიან, გაექცნენ ბაბილონის მეფეს, რომელიც გოგონას ეტრფოდა. მათ ფათერაკიან თავგადასავალში (რასაც ბედნიერი დასასრული აქვს, როდანე ბაბილონის ტახტზე ადის) ჯამბლიკი ყურადღებას ამახვილებს მესოპოტამიურ მაგიურ ხელოვნებაზე, ლეგენდებსა და ადათ-წესებზე; წიგნში მრავლად

არის ეროტიკული სცენები, რასაც ფოტიოსი ზომიერად … თვლის (!). ჩვენ შეგვიძლია ნაწარმოების სუიჟეტის შეფასება, მაგრამ ვერ ვიმსჯელებთ მის ლიტერატურულ ხარისხზე, ვერც პერსონაჟების ფსიქოლოგიურ ასპექტებზე. რომანს დიდი წარმატება ხვდა წილად.

წიგნებზე, – რაზეც გვესაუბრება ფოტიოსი, – ყოველთვის გვაწვდის ცოცხალ და პუნქტუალურ სურათს, ეხება ეს ფანტასტიკურ რომანებს თუ თეოლოგიურ ბროშურებს. ჩვენს წინაშე იშლება მთელი მსოფლიო, სადაც არა მხოლოდ უამრავ გაუჩინარებულ განძს ვხვდებით, არამედ ბიზანტიური მსოფლმხედველობაც გვიწევს მეგზურობას: ასე ვგებულობთ, თუ როგორი თვალით უყურებდა IX ს-ში ფოტიოსი მას, რასაც ჩვენ „კლასიკურს“ ვუწოდებთ. ცხადია, მისი კულტურული ფორმაცია ფართო და გაბედული იყო, იმ მამათა თანასწორად, რომლებიც წინა საუკუნეებში ცდილობდნენ, გადაერჩინათ ანტიკური კულტურა, ნაცვლად მისი დაგმობისა და დამცირებისა, და ახალ რწმენასთან დიალოგში ჩაეყენებინათ იგი.

ამ წიგნით ათეულობით სხვადასხვა სახის ბერძნულმა მანუსკრიპტმა მოაღწია XVI-XVII საუკუნეებამდე. ბიბლიოთეკა 1601 წლამდე არ გამოქვეყნებულა, 1606 წელს მისი ლათინური თარგმანი გამოქვეყნდა. ის ფაქტი, რომ ასეთი მნიშვნელობის მქონე წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია რენესანსის პერიოდის მეცნიერებში, ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ საიდუმლოდ რჩება.

ფიქრები ღიად დარჩენილ ასპექტებზე....

თუკი გვინდა, ფოტიოსის ცხოვრებაზე შევჩერდეთ, ისევ უნდა ვეძიოთ ის, თუ „რატომ“ არ იყო ყოველთვის ადვილი პატრიარქების, პაპების, იმპერატორების არჩევანისა და საქციელის მიზეზების გაგება. პრობლემად რჩება, როგორ იყენებდნენ ამ გამოჩენილ პიროვნებას როგორც დასავლეთში, ასევე აღმოსავლეთში კათოლიკური და ორთოდოქსული ეკლესიები; ფოტიოსი, ზოგიერთის თვალსაზრისით, ოქროს საუკუნეების დიდი მამების გვერდით უნდა დავაყენოთ, როგორებიც არიან: წმიდა ანასტასიო დიდი და წმიდა ბასილი დიდი; მათ მსგავსად, მანაც ჰეროიკული გზით შეიძინა ყველა ქრისტიანული სათნოება; იგი იბრძოდა ჭეშმარიტებისთვის, ქრისტიანული რწმენის დოგმისთვის, იმ ფასდაუდებელი მემკვიდრეობისთვის, რაც ეკლესიას დაუტოვეს მოციქულებმა და წმიდა მამებმა; ამის ნათელი მაგალითია რამდენიმე ცნობილი ფრაზა მის ენციკლიკაში, რაც მან პაპ ნიკოლოზს გაუგზავნა: „არაფერია ჭეშმარიტებაზე უფრო ძვირფასი… თუკი ნამდვილად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ყველაფერში ერთგულები ვართ, რაოდენ ერთგული უნდა ვიყოთ იმაში, რაც ეხება რწმენას, რისი უმცირესი ნაკლებობაც კი მომაკვდინებელი ცოდვაა“. სხვებისთვის პირიქით, იგი პაპების და მათი სწავლების მტერია, რამეთუ ისტორიაში შევიდა, როგორც ბიზანტიის ეკლესიის დიდებული წარმომადგენელი „პირველ საყდართან“ ქიშპობაში, როგორც პიროვნება, რომელმაც, საუკუნენახევრის შემდეგ, თეოლოგიური და პოლიტიკური ბაზისი შექმნა 1054 წლის აღმოსავლური სქიზმისა. ასე იყო სინამდვილეში? პატრიარქ ფოტიოსის შესახებ გამართული მსჯელობა მრავალმა ფაქტორმა განაპირობა. ფოტიოსი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე უყურადღებოდ იყო მიტოვებული დასავლელი ისტორიოგრაფების მიერ, ხოლო აღმოსავლელთა მიერ აღტაცების საგნად ქცეული, ისევ ხელახლა აღმოაჩინეს დასავლეთში, მის ირგვლივ წარმოებული ღია და გონივრული კვლევების საშუალებით. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

1. მისი კავშირები რომის საყდართან სხვადასხვა პერიოდში ძალიან მღელვარე იყო; თუკი რამდენჯერმე იგი რომის პაპმა შეაჩვენა (ნიკოლოზ I, ადრიანე II და იოანე VIII), სტეფანე V-მ, პირიქით, ბიზანტიის იმპერატორის, ლეონ VI-ს მოქმედება დაგმო, რომელმაც იგი გადააყენა და ისე გააძევა, რომ წინა შეჩვენებების მიზეზიც კი არ გამოუკვლევია;. ბიზანტიის იმპერატორი, როგორც პაპი სტეფანეს პასუხიდან ირკვევა, მხარს უჭერდა იმას, რომ ვერ შეძლო მარინო I-ის ლეგიტიმურობის აღიარება, რადგანაც მისი არჩევა ეწინააღმდეგებოდა ნიკეას კრების XV კანონს (რომელიც ეპისკოპოსებს უკრძალავდა ერთი საყდრიდან მეორეში გადასვლას). პაპმა სტეფანემ ბრალდებებს საკმაოდ მწვავედ უპასუხა, პირველ რიგში, ის აცხადებდა, რომ მარინოს წინააღმდეგ მიმართული ცილისწამებები მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიელი პატრიარქის, ფოტიოსის ხელწერა იყო. რომ პონტიფექსის წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები თავისუფლად შეიძლებოდა თავად ფოტიოსსაც წაყენებოდა, და რომ რომს არ სურდა მასთან დათმობაზე წასვლა, დარწმუნებული იყო, რომ ამ ორ ქალაქს შორის კავშირები მაშინ გამოსწორდებოდა, თუკი მისი პატრიარქი ნდობის ღირსი იქნებოდა. ამ ჟესტმა, სავარაუდოდ, ახალი ბზარი გამოიწვია ბიზანტიასთან, მაგრამ წერილი იქ მაშინ ჩავიდა, როცა ბასილი I უკვე გარდაცვლილი იყო, და მისმა შვილმა ლეონ VI-მ ფოტიოსი საპატრიარქო ტახტიდან გადააყენა და იგი თავის ძმას, სტეფანეს დაუთმო. აქედან ადვილია იმის გაგება, რომ ყველა ის საეკლესიო დავიდარაბა, რაც ფოტიოსმა გადაიტანა, მხოლოდ რომის პაპების სინდისზე კი არაა, არამედ მათ განაპირობებდა ორივე მხარეზე მიმდინარე ისტორიული მოვლენები, დედაქალაქში არსებული გარემო, რასაც ხშირად ბერები და ეპისკოპოსები ქმნიდნენ ამა თუ იმ ჯგუფის, ამა თუ იმ პატრიარქის, ამა თუ იმ იმპერატორის სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით, საკმარისია გავიხსენოთ, თუ რას წერს ფსევდო სიმეონ მაგი (Pseudo Symeon Mag), რომელიც მას გვაჩვენებს ეშმაკისეულ და ბოროტ ქმნილებად, რომელიც უფრო მეტ დროს უთმობს „ელინურ“ მეცნიერებებს, ვიდრე „საეკლესიოს“. მან სული მიჰყიდა ებრაელ მოგვს, რომ სამაგიეროდ ჰქონოდა ცოდნა, ამ გზით ის ფაუსტის ლეგენდას ეხმიანებოდა. აშკარაა, რომ მემატიანე „ეგნატისტია“, რომელსაც ფოტიოსის მიმართ ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა.

2. ყურადღებას იმსახურებს კიდევ ერთი ასპექტი, რაც პაპისა და ლათინური წესის მიმართ შეტევებს გულისხმობს; 867 წლამდე ფოტიოსს არაფერი დაუწერია ფილიოკვეზე, ლათინების ახალ რიტებზე და რომის ეპისკოპოსის პრიმატზე. ასეთ მოკლე დროში ლათინების ადათ-წესები, რომლებიც ოდითგანვე არსებობდა, რატომ იქცა უთანხმოებისა და შეჩვენების მიზეზად? ან ლათინები უმალავდნენ ცბიერად თავიანთ სიახლეს

პაპი სტეფანე V

ბერძნებს, რაც შეუძლებელი იყო, ან აღმოსავლელები ეძებდნენ ბრალდების მიზეზებს, ზოგჯერ ზედმეტად მარგინალურს, რათა დაეგმოთ, ან გაემართლებინათ სხვების საქციელი. ასე რომ არ ყოფილიყო, რატომ დუმდნენ აღმოსავლელები აქამდე ლათინების შეცდომებზე? თუკი ასე იყო, მაშინ აღმოსავლელები დამნაშავეებად უნდა მივიჩნიოთ, რომ აქამდე არ დაგმეს და სინოდის, ან ეკუმენური კრების წინაშე არ ამხილეს ლათინები. სინამდვილეში, პრობლემა უფრო მეტად მდგომარეობდა იურისდიქციაში, რაც ბულგარეთს შეეხებოდა, ვიდრე თეოლოგიაში. გამოცდილება გვასწავლის, რომ თავდაცვის საჭიროება ყველანაირ მიზეზებს გვაპოვნინებს შეტევაზე გადასასვლელად... მაგრამ სინამდვილეში, სწორედ ამ დროს, დაახლოების ნაცვლად, ვცილდებით ჭეშმარიტებას. ამ პერსონაჟის მკვლევრებს სულაც არ სურთ მისგან არც მართლმადიდებლობის მამამთავრის და, მით უფრო ნაკლებად, პაპის მოქიშპის სახე შექმნან, როგორც ამას დღეს წარმოადგენენ ფანატიკოსთა ჯგუფები. დღეს სერიოზულად მსჯელობენ, რომ არ არსებობს ფოტიოსის მეორე სქიზმა, და რომ მისი ანტიპაპისტური ნაწერები მას კი არ ეკუთვნის, არამედ სხვა, გვიანდელი ხანის მწერლებს, რომლებმაც მისი ცხოვრებისეული ფაქტები, მისი ფართო ერუდიცია და ავტორიტეტი გამოიყენეს, რათა ანტიპაპისტური თეზისები შეექმნათ. როგორც ჰ.გ. ბეკი აღნიშნავს, 1054 წლის სქიზმის მთავარი გმირები ფოტიოსზე აშკარად არ მიანიშნებდნენ; მხოლოდ XII საუკუნეში წამოიწია წინა პლანზე მისმა ფიგურამ, იმ პრესტიჟის გამო, რაც მას ეკავა ბიზანტიურ კულტურაში, როგორც მედროშეს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ფოტიოსს, ეგნატესთან დავაში, პირველ რიგში, აინტერესებდა, ეღიარებინათ იგი პატრიარქად. ფოტიოსი ნამდვლად არ გახლდათ ისეთი პიროვნება, როგორადაც მას დღეს წარმოაჩენენ: ანტიპაპისტი, დასავლეთის მოძულე... საკმარისია მისი წერილებიდან რამდენიმე ამონარიდის გაცნობა, სადაც იგი პაპს სწერდა სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით, რომ გავიგოთ, თუ როგორი ნდობით სარგებლობდა იგი პაპის თვალში და რა დიდ პატივს მიაგებდა მას წმიდა მამა. აი, ციტატა წერილიდან, რომელიც მან ნიკოლოზ I-ს მისწერა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტზე არჩევასთან დაკავშირებით, სადაც იგი დასძენდა, რომ „ყველა ზიარებას შორის გამოირჩეოდა ერთი უზენაესი, რომელიც რწმენასა და სიყვარულში გვაერთიანებდა“. 861 წელს, ფოტიოსი პაპისადმი ძმურსა და თბილ დამოკიდებულებას გამოხატავდა თავის წერილში: „არაფერია სიყვარულზე უფრო მეტად ძვირფასი და უფრო სასიქადულო; ეს აზრი საღვთო წერილით არის განმტკიცებული.მისი მეშვეობით, ის, რაც გათიშულია, ერთდება; ბრძოლები მთავრდება, სიყვარული ყოველგვარ პაექრობას და დავას უხურავს კარებს...მათ, რომლებსაც ღმერთის შესახებ ერთნაირი აზრები აქვთ, კიდეც რომ იყვნენ გაყოფილნი სივრცეში და ვერასოდეს ხედავდნენ ერთმანეთს, იგი მათ შეაერთებს და ერთი აზრით გააერთიანებს და ჭეშმარიტ მეგობრებად აქცევს. და თუ შემთხვევით ერთი მათგანი მეორეს უსაფუძვლო ბრალდებებს წაუყენებს, იგი შუამავლობს მათ და ყოველივეს ახალი ერთობით აყალიბებს... მე დავკარგე ჩემი მშვიდი და წყნარი ცხოვრება, დავკარგე ჩემი დიდება (რამეთუ არიან ამსოფლიური დიდების მოყვარულნი), დავკარგე ჩემი ძვირფასი საგნები, ჩემი წმიდა და ღირსეული კავშირები მეგობრებთან... ახლა კი ისინი მსაყვედურობენ, ვისგანაც ნუგეშსა და გამხნევებას ველოდი, ასე დაემატა ტკივილი ტკივილს... საჭირო არ იყო, მეუბნებიან, მათი წყენინება. მაშინ უთხარით მათ, ვინც მაწყენინა, საჭირო არ იყო ძალადობის გამოჩენა. ეს მართალია, მაგრამ ვინ იმსახურებს თქვენს საყვედურს? იქნებ ისინი, ვინც იძალადეს? ვინ იმსახურებს მოწიწებას? იქნებ ისინი, ვინც ძალადობა იწვნია? იქნებ, ვინმემ მშვიდად დატოვოს ისინი, რომლებმაც ძალადობა ჩაიდინეს, მაგრამ მე თქვენს სამართლიანობას ვესავ, რომ მათ დასჯით. ამბობენ, რომ ეკლესიის კანონი დაირღვა, რადგანაც ერისკაცის რანგიდან სამღვდელოში გადავიდა. მაგრამ ვინ დაარღვია? მან, ვინც ძალადობა ჩაიდინა, ან მან, ვინც ძალით იქნა ჩათრეული, მისი ნების მიუხედავად. მაგრამ საჭირო იყო დათმენა – და სადამდე? საკმარისზე მეტი დავითმინე. რომ არ შემშინებოდა დიდი ქარტეხილების ატეხვისა, უფრო მეტსაც დავითმენდი, სიკვდილამდე...“

3. ვინ იცის, მისწერა თუ არა იმავე გულწრფელობით პატრიარქებს ან იმპერატორებს?! პაპზე ამბობენ, რომ იგი ოცნებობდა მხოლოდ და მხოლოდ ძალაუფლებაზე, დიდებაზე... ხოლო ფოტიოსზე საუბრობენ, როგორც მდაბალ, ჭირთამთმენ, დევნილ ადამიანზე... კარგ სამსახურს უწევს ჭეშმარიტებას, თუ მხოლოდ ისტორიულად წინასწარ შექმნილ და ინტერპრეტაციულ სქემებს ემორჩილება? სინამდვილეში ისინი, ორივე, თავიანთი ეპოქის შვილები არიან, და ორივე თავიანთ ეკლესიას ემსახურება საუკეთესო გზებით (ბოლოს და ბოლოს, ბულგარელებთან დაკავშირებულ საკითხში ვინ გაიმარჯვა, პაპმა თუ პატრიარქმა?), და ზოგჯერ ორივეს ავიწყდებოდა სახარებისეული ფასეულობები.

მოამზადა
მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ღვთისმშობლის ბრწყინვალე დღესასწაული ვალეში

◀ 10 გვ.

ყოველი წლის 8 სექტემბერს ვალეს ეკლესიის მრევლი დიდი სიხარულით აღნიშნავს ღვთისმშობლის შობისა და ვალეს ეკლესიის დღესასწაულს.

2011 წლის 8 სექტემბერს ადრეული შემოდგომის მშვენიერი დილა გათენდა. ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ჩანდა და უძირო, ცისფერ ზღვას ჰგავდა. არე-მარეს ჩიტების საამური ჭიკჭიკი ატკბობდა. ხალხიც მშვენიერ განწყობაზე იყო და ღიმილიანი სახით ერთმანეთს ეკლესიის დღესასწაულს ულოცავდნენ.

დილიდანვე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი ეკლესიის ეზოში. აქ იყვნენ საქართველოში მოღვაწე მღვდელმსახურები, სხვადასხვა ორდენის მონაზვნები, საქართველოს კათოლიკური საკრებულოების მრევლის წევრები.

წმიდა წირვა ორგანოს ულამაზესი ჰანგებისა და გალობის თანხლებით დაიწყო. სადღესასწაულო წმ. წირვას ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო უძღვებოდა. ეპისკოპოსის ქადაგება ყველასათვის გულშიჩამწვდომი და საინტერესო იყო.

შეუძლებელია სიტყვებით გადმოსცე ის განწყობა, რაც იმ დღეს ვალეში სუფევდა. ფერად-ფერადი ყვავილები, საზეიმოდ მორთული ეკლესია, გაღიმებული და ბედნიერი სახეები, სანთლების იდუმალი ციაგი...

დღესასწაული დაგვირგვინდა უხვი და მხიარული სუფრით, რომელიც სიყვარულითა მოამზადა ეკლესიის მრევლმა.

კორესპონდენტი

„საქართველოს კარიტასის“ ქრონიკა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტი

19 სექტემბერი 2011 წ.

2011 წლის 19 სექტემბერი დაუვიწყარი დღეა „კარიტასის“ თანამშრომლებისა და ბენეფიციარებისთვის. გუშინ „კარიტასის“ ბავშვთა სახლს სტუმრად ეწვია მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია II. პატრიარქი დაესწრო ბავშვთა სახლის ეზოში ახლად აშენებული მართლმადიდებლური ეკლესიის გასაღების სიმბოლურად გადაცემის ცერემონიალს. ეკლესიის მშენებლობას ჯერ კიდევ 2004 წელს ჩაეყარა საფუძველი და, ხანგრძლივი შუალედის შემდეგ, დასრულებული სახე მიიღო. უნდა აღინიშნოს ეკლესიის მშენებლობისთვის რომის პაპის, იოანე პავლე მეორის მიერ გაღებული სოლიდური შემოწირულობა.

პატრიარქის გარდა, აღნიშნულ ცერემონიას ესწრებოდა ორი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი, წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში, მისი ყოვლადმაღალუსამღვდელოესობა, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი, ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, მისი უსამღვდელოესობა, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, „საქართველოს კარიტასის“ დირექტორი, პადრე ვიტოლდ შულჩინსკი, „კარიტასის“ თანამშრომლები და ბენეფიციარები (ბავშვები და მოხუცები). პატრიარქმა დალოცა ახლად აშენებული ეკლესია და თავის გამოსვლაში ისაუბრა რომის კათოლიკური ეკლესიის მიერ გაწეულ მნიშვნელოვან დახმარებაზე. მისმა უწმიდესობამ გაიხსენა, რომ მართლმადიდებლური ეკლესია დაარსებულ იქნა ანდრია მოციქულის მიერ, ხოლო კათოლიკური ეკლესია პეტრე მოციქულის მიერ, და რომ ისინი ძმები იყვნენ. საუბრის დასასრულს, მისმა უწმიდესობამ მადლობა გადაუხადა წმიდა საყდრის დესპანს საქართველოში ათწლიანი მსახურებისათვის.

ასევე, პატრიარქმა დიდი სიყვარულით დალოცა მასთან შესახვედრად მისული ბავშვები, მოხუცები და სნეულები.

გამომშვიდობება წმიდა საყდრის დესპანთან

19 სექტემბერი 2011

გუშინ, 19 სექტემბერს, პატრიარქის ვიზიტის შემდეგ, „საქართველოს კარიტასის“ თანამშრომლებსა და ბენეფიციარებს საშუალება ჰქონდათ, გამომშვიდობებოდნენ, საქართველოში წმიდა საყდრის დესპანს, მის ყოვლადმაღალუსამღვდელოესობას, მთავარეპისკოპოს

▶ 12 გვ.

◀ 11 83. კლავდიო გუჯეროტის. დასრულდა საქართველოში მისი ათწლიანი მსახურება. თავის გამოსვლაში „საქართველოს კარიტასის“ დირექტორმა, პადრე ვიტოლდ შულჩინსკიმ ისაუბრა წლების მანძილზე მთავარეპისკოპოს კლავდიო გუჯეროტის მიერ გაწეული ფასდაუდებელი შრომის შესახებ და სახსოვრად გადასცა „კარიტასის“ თანამშრომელთა ძღვენი — წმინდა ნიკოლოზის ხატი.

თავის გამოსვლაში ელჩმა „კარიტასს“ სიყვარულის პატარა ქალაქი უწოდა, რადგანაც „კარიტასი“ სწორედ სიყვარულს ნიშნავს.

შეხვედრის ბოლოს, წმიდა საყდრის დესპანმა სურვილი გამოთქვა, კიდევ ერთხელ დაეთვალიერებინა „კარიტასის“ ბავშვთა სახლი. მან მოინახულა უპოვართა სასადილო, პროექტი ჩვენი სახლი, მცირე საოჯახო ტიპის სახლი და შეხვედრების ცენტრი „ჰარმონია“, სადაც მის მიერ მოწვეულმა ქართველმა მუსიკოსებმა კლასიკური მუსიკის კონცერტი გამართეს. ჩვენი ხანდაზმული ბენეფიციარები წარმოდგენით აღფრთოვანებულები დარჩნენ.

თქვენო ყოვლადმაღალუსამღვდელოესობავ, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას გულითადი მეგობრობისთვის და ნაყოფიერ მუშაობას გისურვებთ მინსკში!

„საქართველოს კარიტასის“ მომავალი

16 სექტემბერი 2011

ა.წ. 14-15 სექტემბერს, თბილისში მნიშვნელოვანი შეხვედრა გაიმართა „საქართველოს კარიტასის“ მომავალთან დაკავშირებით. მასში მონაწილეობდა სხვადასხვა საპატიო სტუმარი, მათ შორის: საერთაშორისო კარიტასის გენერალური მდივანი, ბ-ნი მიშელ რუა, ევროპის კარიტასის პრეზიდენტი, პადრე ერნი გილენი, ევროპის კარიტასის გენერალური მდივანი, ბ-ნი ხორხე ნუნიო მაიერი, საერთაშორისო კარიტასის მიერ დანიშნული „საქართველოს კარიტასის“ კომისარი, პადრე ალექსანდრე პიეტჩიკი, ევროპის კარიტასების წარმომადგენლები (გერმანიის კარიტასი, საფრანგეთის კარიტასი, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი, პოლონეთის კარიტასი — „საქართველოს კარიტასის“ მხარდასაჭერად შექმნილი ე.წ. იშთ ჯგუფის წევრები), წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში, მისი ყოვლადმაღალუსამღვდელოესობა, მთავარეპისკოპოსი კლავდიო გუჯეროტი და ამიერკავკასიაში ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, მისი უსამღვდელოესობა, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო.

ამ შეხვედრებზე მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყდა. მომავალში ჩამოყალიბდება ახალი, კომპეტენტური მმართველობითი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის სამომავლო სტრატეგიას. ამას გარდა, მომზადდება დოკუმენტი, სადაც აღნიშნული იქნება ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც მოხდება „საქართველოს კარიტასის“ ახალი დირექტორის დანიშვნა. ამ პროცესს უხელმძღვანელებს საერთაშორისო კარიტასის მიერ დანიშნული კომისარი, პადრე ალექსანდრე პიეტჩიკი, რომელსაც დახმარებას გაუწევს ჰოლანდიელი კონსულტანტი, ბ-ნი ვიმ პილსი.

გულითად მადლობას ვუხდით შეხვედრის ყველა მონაწილეს. ვაცნობიერებთ, რომ ეს არ იყო მარტივი გადაწყვეტილება, მაგრამ მიზანმიმართულია „საქართველოს კარიტასის“ უკეთესი მომავლის შექმნისკენ.

სტუმარი „საქართველოს კარიტასში“

4 აგვისტო 2011

3 აგვისტოს „საქართველოს კარიტასს“ ესტუმრა პოლონეთის ელკის ეპარქიის ეპისკოპოსი მონს. იეჟი მაზური. მისმა უსამღვდელოესობამ მოინახულა „საქართველოს კარიტასის“ პროექტები: სოციალური და სამედიცინო პროგრამა და განვითარებითი პროექტები „პანეტერია“ და „სან-ზენო“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი შეხვედრა ბენეფიციარ ბავშვებთან, რომელიც სავსე იყო სიყვარულითა და თანაგრძნობით. პროექტი „ჩვენი სახლის“ ბავშვებმა პატივცემულ სტუმარს პატარა კონცერტი მიუძღვნეს. სტუმარიც დიდი სიამოვნებით ჩაება ბავშვებთან თამაშში.

„საქართველოს კარიტასი“ დიდ მადლობას უხდის მის უსამღვდელოესობას სიყვარულით სავსე სტუმრობისთვის.

„საქართველოს კარიტასი“ კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციათა შორის

10 სექტემბერი 2011

2011 წლის 18 აგვისტოს „მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლებით გადაცემისათვის იურიდიული პირების გამოსავლენად საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის № 01 — 129/ო ბრძანების შესაბამისად, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების მართვის უფლებით გადაცემისათვის იურიდიული პირების გამოსავლენად შექმნილი კომისიის გადაწყვეტილებით, „საქართველოს კარიტასი“ გამოვლინდა გამარჯვებულ ორგანიზაციათა შორის. კერძოდ, „კარიტასმა“ მოიპოვა ორი მცირე საოჯახო ტიპის სახლის მართვის უფლება შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, სოფელი გლდანი და ქ. თბილისი, ბეჟანიშვილის ქ. №8.

„საქართველოს კარიტასი“

მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებები

„საბას“ მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ ქართველი კათოლიკე მღვდლის, გამოჩენილი ისტორიკოსისა და მკვლევარის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამზადისი დიდი ხნის წინ დაიწყო.

უკვე დასრულდა დაგეგმილი ღონისძიებების პირველი ეტაპი და გამოვლინდნენ მიხეილ თამარაშვილის შემოქმედების შესახებ საუკეთესო ნაშრომზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულები. პირველი ხარისხის პრემია მიეკუთვნა ზურაბ გამეზარდაშვილის ნაშრომს — „მიხეილ თამარაშვილის სამეცნიერო მემკვიდრეობა“; მეორე ხარისხის პრემია დაიმსახურა ნუგზარ ბარდაველიძის ნაშრომმა — „მიხეილ თამარაშვილი და საქართველოში რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის მრევლის პოპულაციის კვლევა“; ხოლო მესამე ხარისხის პრემია მოიპოვა დავით თინიკაშვილის ნაშრომმა — „მიხეილ თამარაშვილი“.

2011 წლის 16 სექტემბერს, 11:30 წუთზე თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების კათედრალურ ტაძარში აღევლინა მიხეილ თამარაშვილის სულის მოსახსენიებელი წმიდა წირვა. მესას უძღვებოდა ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, მასთან ერთად წირვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კათოლიკური საკრებულოების მღვდელმსახურნი. წმ. წირვას ესწრებოდნენ: საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა კონგრეგაციების მონაზვნები, მთავრობის წარმომადგენლები, კერძოდ, პარლამენტის წევრები, ბატონები გიორგი გაბაშვილი და ზაალ სამადაშვილი, ქალბატონი თამარ კინწურაშვილი, მიხეილ თამარაშვილის მემკვიდრეები ახალციხიდან, სხვადასხვა საკრებულოებიდან ჩამოსული მორწმუნეები და კათედრალური ტაძრის მრევლის წევრები, საზოგადოების წარმომადგენლები.

როგორც ეპისკოპოსმა აღნიშნა ქადაგებაში: „მიხეილ თამარაშვილი იყო ქართველი, ერთ-ერთი იმ უამრავ ქართველთა შორის, რომელმაც ისურვა, გამხდარიყო კათოლიკე მღვდელი. აშკარაა, რომ ის, რასაც მისი პიროვნება წარმოადგენდა, და ის, რაც მან გააკეთა, მომდინარეობდა მისი ამ ფუნდამენტური არჩევანიდან...“ (სრულად იხ. „საბა“ 16 სექტემბერი, სპეციალური გამოშვება).

14 საათზე, წირვის დასრულების შემდეგ, ყველამ გადაინაცვლა დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, სადაც ყვავილებით შეამკეს გამოჩენილი მამულიშვილის საფლავი და პარაკლისი გადაიხადეს. გალობდა მგალობელთა გუნდი. ეპისკოპოსმა აღნიშნა მ. მიხეილის დამსახურების შესახებ და კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრე საზოგადოებას, რომ სამშობლოსათვის თავდადებული შვილები არასოდეს უნდა დაივიწყონ და ყოველთვის ჯეროვანი პატივი მიაგონ მათ (სურ. იხ. გარეკანის პირველ გვერდზე).

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა იტალიაში საქართველოს დესპანმა, ბატონმა ირაკლი ხეცურიანმა. როგორც მან აღნიშნა: „100 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მიხეილ თამარაშვილი, ტრაგიკულად დაიღუპა 1911 წელს სანტა მარინელას წყლებში, იტალიელი მუშის გადარჩენის დროს. აღსანიშნავია, რომ ჯერ სათანადოდ არ არის შესწავლილი მისი მემკვიდრეობა და ისე არაა იგი დაფასებული, როგორც იმსახურებდა. საქართველოს საელჩოს იტალიაში განზრახული გვაქვს, ახლო მომავალში გავაგრძელოთ, დავიწყოთ მაინც, მისი ღვაწლის და პიროვნების დაფასება. 23 ოქტომბერს, საქართველოს კათოლიკურ ეკლესიასთან ერთად, ვაპირებთ სხვადასხვა ღონისძიების ჩატარებას. კერძოდ, საელჩო გეგმავს სანტა მარინელაში და ჩივიტა ვეკიაში, სადაც იგი იყო დაკრძალული, გავხსნათ მემორიალური დაფა და ჩავატაროთ რამდენიმე ღონისძიება.

მას შემდეგ, რაც რეზო თაბუკაშვილმა მიხეილ თამარაშვილის ნეშტი სამშობლოში გადმოასვენა, მისი საფლავის ადგილი, სამწუხაროდ, აღარავის მოუკითხავს და დავიწყებული იყო. საელჩომ ჩაატარა მოკვლევა და აღმოჩნდა, რომ ადგილი, სადაც დაკრძალული იყო მიხეილ თამარაშვილი, გაყიდულია (დღეს იქ ვინმე ანას ნეშტი განისვენებს), თუმცა არავის ჰქონდა მისი გაყიდვის უფლება, რადგან მადლიერმა იტალიელმა ხალხმა სამუდამოდ შეისყიდა მისი განსასვენებელი ადგილი. ჩვენ გავაგზავნეთ პროტესტის ნოტა, რის საფუძველზეც სასწრაფოდ

▶ 14 ᲒᲒ.

დაისაჯნენ ის პიროვნებები, ვინც გაყიდა ეს ადგილი. მაგრამ ეს ჩვენთვის დიდი ნუგეში არ არის.

სანტა მარინელაში, სან ჯუზეპეს ეკლესიაში არის მ. თამარაშვილის მემორიალური დაფა, მაგრამ ჩვენ ვაპირებთ, იქ გავხსნათ კიდევ ერთი მემორიალური დაფა, სადაც გამოვხატავთ მადლიერებას იტალიელი ხალხის მიმართ, ვინც პატივი მიაგო მის პიროვნებას.

16 სექტემბერს, 17 საათზე საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის დარბაზში მოეწყო რეზო თაბუკაშვილის ფილმის — „კვალი ნათელი“ ჩვენება, რომელსაც პარლამენტის წევრები და კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ფილმის დაწყების წინ, შეკრებილ საზოგადოებას მიესალმნენ პარლამენტარები, ბატონი გიორგი გაბაშვილი და ბატონი ნუგზარ წიკლაური. მათ ისაუბრეს მიხეილ თამარაშვილის დიდ ღვაწლზე და მადლიერება გამოხატეს ბატონ რეზო თაბუკაშვილის მიმართ, რომელმაც შთამომავლობას დიდი საჩუქარი გაუკეთა არა მარტო მისი ნეშტის გადმოსვენებით, არამედ იმ შესანიშნავი ფილმითაც, რომლის სანახავადაც შეიკრიბნენ.

ეპისკოპოსმა ჯუზეპე პაზოტომ კი ისაუბრა იმ მოვალეობაზე, რაც სახელმწიფოსა და საზოგადოებას ეკისრება მიხეილ თამარაშვილის მსგავსი თავისი შვილების მიმართ.

23 სექტემბერს, მარიამის ზეცად აღყვანების კათედრალურ ტაძარში გაიმართა თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის — „საქართველოს სიმფონიეტა“ — კონცერტი, რომელიც მამა მიხეილ თამარაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი — „საქართველოს სიმფონიეტა“ დაარსდა 2008 წელს საქართველოს პირველი ლედის, სანდრა ელისაბედ რულოვსისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს პატრონაჟით. ორკესტრი რეგულარულად მართავს კონცერტებს თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. უკვე მესამე წელია, რაც ის თანამშრომლობს ფესტივალ „Young Euro Classic“-თან, რომელიც ყოველწლიურად იმართება ბერლინის „კონცერტჰაუსში“. გარდა ამისა, ორკესტრი მონაწილეობს სხვადასხვა ფესტივალში (თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი, თბილისის კამერული მუსიკის ფესტივალი, თელავის მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი). 2011 წლის 1 მაისს ორკესტრის კონცერტი ჩაწერა ევროპაში ცნობილმა ფრანგულმა მუსიკალურმა ტელეარხმა „MEZZO“-მ, რომლის ჩანაწერიც ორი წლის განმავლობაში რეგულარულად გავა აღნიშნული ტელევიზიის ეთერში.

კონცერტის პროგრამაში შედიოდა: ი. ს. ბახის, ა. ვივალდისა და ს.ცინცაძის ნაწარმოებები.

კონცერტი საინტერესოდ წარიმართა და მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

მიხეილ თამარაშვილის საიუბილეო დღეები 12 ოქტომბერს ახალციხეში გაგრძელდება.

მოამზადა

ციცინო ხითარიშვილმა

მართლმადიდებელ პატრიარქთა შეხვედრა

სექტემბრის დასაწყისში, სტამბულში, ფანარის საყდარში ადგილობრივი ძველი მართლმადიდებელი ეკლესიის პრიმატებს შორის გამართულ შეხვედრაზე, პირველ რიგში, საუბარი შეეხო შუა აღმოსავლეთში ქრისტიანთა მდგომარეობას და მათ მომავალს ამ რეგიონში. ბართოლომეოსთან, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქთან ერთად, სამუშაო პროცესში მონაწილეობა მიიღო ალექსანდრიის პატრიარქმა თეოდორემ, იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილემ, კვიპროსის მთავარეპისკოპოსმა ხრიზოსტომმა და ამაპეას ეპისკოპოსმა ისაკმა, ანტიოქიის პატრიარქის, ეგნატე IV-ის წარმომადგენელთან ერთად, რომელიც სირიაში შეჩერდა იქ არსებული დრამატული სიტუაციის გამო. ამ უკანასკნელმა გამოაგზავნა მიმართვა, სადაც ყველას ლოცვისაკენ მოუწოდებდა, „რათა შეწყდეს უდანაშაულოთა სისხლისღვრა და მეფობდეს მშვიდობა ჩვენს რეგიონში“. ბართოლომეომ, თავის მხრივ, დიდი სურვილი გამოთქვა მშვიდობის დაუყოვნებლივ დამყარებაზე სირიაში, „სადაც ქრისტიანები და მუსლიმები თანაცხოვრობენ, როგორც ერთი ქვეყნის შვილები“. სამუშაოები, – როგორც საფრანგეთის მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა ასამბლეის (Aeof) ვებგვერდზე ვკითხულობთ, – ფანარის წმ. გიორგის ეკლესიაში მიმდინარეობდა და იწყებოდა ლოცვით, სადაც მონაწილეობდა, სხვათა შორის, პერგამოს მიტროპოლიტი იოანე (ზიზიულასი) და საფრანგეთის მიტროპოლიტი ემანუელე (ადამაკის), Aeof-ის პრეზიდენტი. თავის შესავალ სიტყვაში მსოფლიო პატრიარქი გამოხატავდა აღშფოთებას შუა აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო და ამ რეგიონში მცხოვრებ ქრისტიანთა სვე-ბედზე. ასევე მოკლედ შეეხნენ დიდი პანორთოდოქსული კრების მოსამზადებელ საკითხებს. თეოდორემ მადლობა გადაუხადა ბართოლომეოს იმ დიდი ყურადღების გამო, რასაც მარკოზ მახარებლის მიერ დაარსებული ალექსანდრიის ეკლესიის ცხოვრებისა და ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ იჩენდა. და ბოლოს, პატივი დასდეს კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს, რომელიც წელს დიაკონიის ორმოცდამეათე და მსოფლიო ეკლესიის საჭეთმპყრობლობის მეოცე წლისთავს აღნიშნავს. იერუსალიმის პატრიარქმა თეოფილემაც ისაუბრა შუა აღმოსავლეთის ქრისტიანთა რთულ ვითარებაზე (განსაკუთრებით წმიდა მიწის მობინადრეებზე), აქვე განიხილეს პალესტინისა და ადგილობრივი პრობლემები, როგორიც არის უფლის შობის ბაზილიკის ჭერის შეკეთება, თუ რუმინეთის საპატრიარქოსთან ახლახანს წარმოშობილი კრიზისი. კვიპროსის მთავარეპისკოპოსმა ხრიზოსტომმა თავისი გულისტკივილი გამოხატა შუა აღმოსავლეთში ექსტრემისტების ჯგუფის ზრდასთან დაკავშირებულ რისკზე და რეგიონის მართლმადიდებელი ეკლესიის პრიმატებს მოუწოდა, რომ პასუხისმგებლობით მოეკიდონ ახალ გამოწვევებს. შეხვედრა დაემთხვა ლიტურგიული წლის დასაწყისს (მართლმადიდებელი საეკლესიო კალენდრის მიხედვით) და წმიდა სვიმეონ მესვეტეს (უფროსი) დღესასწაულს, რომელიც სირიაში ცხოვრობდა 388 – 459 წლებში. ასამბლეაში, ძველი მართლმადიდებელი საპატრიარქოთა პრიმატების გარდა, მონაწილეობდა კვიპროსის ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენელი (საეკლესიო დიპტიხებში იგი მხოლოდ მეათე ადგილზეა). ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის საპატრიარქოებისგან განსხვავებით, კვიპროსის ეკლესია ავტოკეფალიას მსოფლიო კრებას უნდა უმადლოდეს. ბართოლომეომ მას უწოდა „მართლმადიდებელი ეკლესიის სტრუქტურისა და შენაწევრების ერთიანი სხეული“.

ექვსი შეკითხვა ლოცვის შესახებ

4. რომელ ენაზე უნდა ვილოცოთ?

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელ ენაზე ვლოცულობთ: ებრაულად, ბერძნულად, ლათინურად თუ ქართულად. ადამიანთა უმეტესი ნაწილი, ბუნებრივია, მშობლიურ ენაზე ლოცულობს. ღმერთს არა მარტო დედამიწის ყოველი ცალკეული ენა ესმის, არამედ მან უფრო ადრე უწყის ჩვენი ფიქრები, სანამ მათ ჩვენდათავად გამოვთქვამთ. ლოცვისას ადამიანმა, შესაძლოა, ისარგებლოს დახვეწილი სალიტერატურო ენით ან თუნდაც სალაპარაკო დიალექტით. რაკიღა ღმერთი ყოვლისმცოდნეა, მისთვის სრულიად უმნიშვნელოა, თუ რომელ ენაზე ელაპარაკება მას ადამიანი.

ზოგიერთს მიჩნია, რომ სულიერად უფრო ღირებულია ჩვეულებრივ სამეტყველო ენაზე ლოცვა, რათა ადამიანმა თავი იგრძნოს ღმერთთან უფრო ახლოს და უფრო შინაურულად. სხვების თვალსაზრისით, ლოცვა უნდა ინარჩუნებდეს ფორმას, — რაც შეიძლება მეტად — და ამიტომ სარგებლობენ უფრო არქაული ლექსიკით. მაგრამ მივმართავთ ჩვენ „სულს წმიდას“ თუ „წმიდასა სულსა“, ეს უეჭველად ერთი და იგივეა.

სხვადასხვა ენებზე ლოცვას „გლოსოლალია“ ეწოდება (ბერძნულად „გლოსა“ „ენას“ ნიშნავს, ხოლო „ლალია“ „მეტყველებას“). ბიბლიაში, — კერძოდ, მოციქულთა საქმეებში (საქმე 1:1-12), — აღწერილია, თუ როგორ შეძლეს მოციქულებმა სული წმიდის გარდამოსვლისას მოეპოვებინათ უნარი, ალაპარაკებულიყვნენ იმ ენებზე, რომლებიც მათ არ იცოდნენ. პეტრე, იაკობი, იოანე და სხვები ლაპარაკობდნენ თავიანთ მშობლიურ არამეულზე, მაგრამ როცა ხალხი მათ უსმენდა, მათი ნალაპარაკები თავიანთ მშობლიურ ენებზე ესმოდათ, იქნებოდა ეს ბერძნული, ლათინური, სპარსული თუ ეგვიპტური.

ქარიზმატული ტიპის კათოლიკეები აცხადებენ, რომ მათ უნარი შესწევთ, დაუფლებულნი იყვნენ სხვა ტიპის გლოსალალიას. როცა ისინი ლოცულობენ, საკრებულოს ერთ-ერთი წევრი იწყებს ლოცვას უცნობ ენაზე, ხოლო მეორე კი, რომელსაც მიეცემა ენათა გაგების უნარი (ქარიზმა), დანარჩენთათვის თარგმნის იმას, რასაც ისმენს.

ყველა კათოლიკეს არ სწამს ამგვარი ლოცვებისა და არ მონაწილეობს მათში (ისევე როგორც ყველა პროტესტანტი არაა ქარიზმატული ტიპისა), თუმცა ზოგიერთს მიაჩნია, რომ ეს სულიერებას უწყობს ხელს. კათოლიკეებს არც ეკრძალებათ და არც რჩევა ეძლევათ, მისდიონ ამგვარი ტიპის სულიერებას. ეს არჩევითია...

ლიტურგიული ენა უფრო ოფიციალურია, რადგან ის ეკლესიის საჯარო, საზოგადო ლოცვაა. ადრე პაპები მოითხოვდნენ რომის კათოლიკეებისაგან, დაეცვათ მათ ლათინური ენა და სცოდნოდათ ის (ისევე როგორც ბერძენ მართლმადიდებელთაგან მოითხოვენ ბერძნულის ცოდნას, თუნდაც ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში ან დიდ ბრიტანეთში ცხოვრობდნენ). ჩვენი მშობლიური ენები ნებადართულია და გამოყენებულია საღმრთო ლიტურგიაში, მაგრამ, ამავე დროს, ეკლესიას სწადია, დაიცვას ტრადიცია და შეინარჩუნოს უწყვეტობა წარსულთან, რის გამოც წირვის გარკვეული ნაწილები დროდადრო ლათინურად სრულდება (იუდეველები ამგვარადვე იცავენ თავიანთ ებრაულს, მუსლიმები კი — არაბულს).

მასალა მოამზადა
მერაბ ღაღანიძემ

საარქივო მასალები

ყველამ კარგად ვიცით, რომ გიორგი მეფე ფნატიკოსი კაცი იყო, მას მართლმადიდებელ ეკლესიის გარდა სხვა არაფერი სწამდა, კათოლიკობა და სხვა სჯულნი უბრალო რამედ მიაჩნდა წინაშე მართლმადიდებელი ეკლესიისა, ასევე უთხრა დამიანე ანკოლელს:

— პატრო! მე კათოლიკის სარწმუნოება არ მიყვარს, რადგანაც მე ორთოდოქსი ვარ, მე მიყვარან და პატივს ვცემ პატრებს, რადგანაც ისინი სამაგალითონი არიან სუფთა ცხოვრებით, გლახაკთ შემწეობით,მკურნალობით და ცოდნით. ეს მართალი მოსაზრება არის გიორგის მხრიდან, სწორედ ასეთები იყვნენ პატრები, ამიტომაც ისინი ღირსნი იყვნენ იმ პატივისცემის, რასაც მათ მეფედან დაწყებული ხალხამდე უჩენდნენ.

პატრი დამიანე ანკოლელი დიდად გაამხნევა ნიკოლამ, აუწყა მეფე გიორგის ბიოგრაფია და ვითარება ქართლის სამეფოსი. პატრს ეს ესიამოვნა. მეფემ მალე იხმო პატრი და ნიშნად თავისი პატივისცემისა წელიწადში ჯამაგირად დაუნიშნა 300 მანეთი, როგორც ეს წესად დაედგინა მეფე ერეკლეს. პატრებს ჯამაგირი დაუნიშნეს 1760 წელს, როცა თბილისში ჭირი გაჩნდა და პატრებს ქართველნი ახალციხეში ევედრებოდნენ, რომ ოღონდ დაბრუნდით თბილისში და ეკლესიის აღდგენის და ხატ-ნივთების დაბრუნების გარდა წლიურ ხელფასსაც დაგინიშნავთო.

პატრი დამიანე ანკოლელიც იღებდა ხელფასს მეფისაგან, ასევე საჩუქრებსაც. მან მალე შეისწავლა ქართული ენა, ერთი წლის განმავლობაში მშვენივრად დაიწყო საუბარი ქართულ ენაზე და ქადაგება მრევლში. მანაც გაითქვა სახელი, როგორც პატრმა ნიკოლამ. დამიანე ანკოლელი დადიოდა ქართველთა სკოლებში და ასწავლიდა სხვადასხვა საგნებს, აგრეთვე ლათინურ და ფრანგულ ენებს, განსაკუთრებით ხშირად დადიოდნენ მასთან ბატონიშვილები და მისგან სწავლობდნენ ევროპულ საგნებს.

ქართველებმა მაშინ გაიცნეს რესპუბლიკური წყობა სახელმწიფოსი, ამბობენ მრავალნი, ხოლო ზოგნი ასეთ წყობას ითხოვდნენ გიორგი მეფისაგანო. პატრ ნიკოლას და სხვა პატრებისაგან მოხდა ქართველებში ამ საქმის გაცნობა. პატრებთან დაახლოებული კავშირი ჰქონია თვით ალქსანდრე ჭავჭავაძესაც, პატრ ნიკოლასთან ეს ხშირად დაიარებოდა ხოლმე.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში მთავარმართებლად დაინიშნა რუსეთში გაზრდილი ციციშვილი. ამ პირს პატრები შეხვდნენ. ციციშვილმა დამიანე ანკოლელს ფრანგულად დაუწყო ლაპარაკი, პატრმა კი პასუხი ქართულად გასცა. ციციშვილს გაუკვირდა და ჰკითხა პატრს: ასე ზედმიწევნით კარგად ქართული ენა როგორ შეისწავლეო? პატრმა ცნობები აუწყა. მთავარმართებელთან პატრებმა ჭკვიანად დაიჭირეს საქმე, ამიტომ მან ჯეროვანი პატივი მიაგო მათ და მეფეთაგან მინიჭებული უპირატესობა ბევრად გაუფართოვა. ბევრს უკვირდა მთავარმართებლის ასეთი საქციელი. ამ დროს თბილისში ცხოვრობდნენ პატრი ნიკოლა, ფილიპე, ანდრია, მარიოსი, იაკობი, დამიანე და სხვები. ამ დროს მთავარმართებელს სტამბოლიდან წერილი მოუვიდა რუსეთის ელჩისაგან და ეს სწერდა, რომ თბილისიდან პატრები საქართველოს ცნობებს სტამბოლში მყოფ საფარანგეთის კონსულს ატყობინებენო და ამიტომ სდევნეთ ეგენიო. პატრი ნიკოლა დაუჭერიათ და ეს რომის პაპს გაუგია. პაპმა თხოვნა გამოაგზავნა ნიკოლას განთავისუფლებისათვის. ამისათვის დიდად იშრომა დამიანე ანკოლელმა.

პატრი ნიკოლა იყო ტომით უცხო, მაგრამ გულით ქართველი, მომხრე იმ ერის და მრევლის, სადაც იგი მსახურობდა, რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობდა. ამ ექიმ პატრს ბევრი ამბები გადახდენია, მაგრამ ცნობები მის შესახებ სულ არ დარჩენილა, არის თითო-ოროლა ცნობები რომში და საქართველოშიც.

უწყიან, რომ პატრმა ნიკოლამ აღწერა მთელი საქართველოს კათოლიკობაო, დაწვრილებით აღუწერია გორის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის დაქცევის და განახლების საქმეც. ეს ძველი ეკლესია მე-17 საუკუნის ნახევარს იქმნა აღშენებული, თლილი ქვით, შემკული ქართულის ნაწერებით, ბიბლიოთეკით, ძვირფასის სამკაულებით და სხვაც და სხვაც მრავალ მნიშვნელოვანი. მაგრამ საუბედუროდ, ეს ძველი ნაშთიც დაიქცა უმეცარ ქართველთა ხელით. დღევანდელი გორის ეკლესია ახლად არის ნაშენი. პატრ ნიკოლას გარდაცვალება მიეწერება 1815-1817 წლებს.

(დასასრული)

წიგნიდან, პატრი ნიკოლა, როგორც ექიმი მის დროის ქართველ კათოლიკენი საქართველოში.
ავტორი ზაქარია ჭიჭინაძე.
თბილისი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა
(მოამზადა გია როსტომაშვილმა)

ოჯახური წყვილების საზაფხულო შეხვედრა

უკვე სასიამოვნო ტრადიციად დამკვიდრდა ზაფხულის პერიოდში ოჯახური წყვილების შეხვედრები მშვენიერ ბათუმში. „იმედის სახლმა“ ამჯერად 31 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე გვიმასპინძლა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ თორმეტ ოჯახს.

ჩამოსვლის დღიდანვე მხიარული განწყობა შექმნა ფსიქოლოგმა მამუკა გელაშვილმა, რომელმაც საინტერესო ინტელექტუალური თამაშები შემოგვთავაზა, რაშიც დიდი ინტერესით ჩაერთო ყველა წყვილი. შემდეგი დღეები კი დაეთმო ჩვენი შეხვედრის ძირითად თემას. შეხვედრის წამყვანებმა, მამა იეჟიმ და მამა მაჩეიმ ამჯერად შემდეგი თემა შემოგვთავაზეს — „ქრისტიანული ოჯახის ზნეობრივი სახე ტობითის წიგნის მიხედვით“. ვფიქრობთ, ურიგო არ იქნებოდა, რამდენიმე სიტყვა გვეთქვა თვით ამ საინტერესო წიგნის შესახებ.

ამ დიდაქტიკური ჟანრის ნაწარმოებში მრავალი სასარგებლო რჩევა-დარიგება და სიბრძნეა მოცემული ოჯახური ცხოვრების საკითხებზე, ცოლ-ქმრულ, ნათესავებსა და თაობებს შორის ურთიერთობებზე. მიუხედავად არაკანონიკურობისა, წმ. მამათა შეფასებით, ეს წიგნი იწვევს სუფთა აზრებს, აძლიერებს მოთმინებისა და ღვთისადმი შეურყეველი რწმენის გრძნობებს. ვარაუდობენ, რომ ის დაიწერა ძვ. წელთაღრიცხვის II-III საუკუნეებში, ხოლო მასში აღწერილი ამბები უფრო გვიანდელი პერიოდისაა (VIII ს. I ნახ.). მას გარკვეული ისტორიული მნიშვნელობაც აქვს, რადგან მიეკუთვნება იმ იშვიათ წყაროებს, სადაც აღწერილია ებრაელი ხალხის ყოფა ნინეველთა ტყვეობაში, მათი ზნეობრივი მდგომარეობა.

წიგნის დაწერის მთავარი მიზანი კი სწორედაც ის იყო, რომ ტობითისა და მისი ღვთისმოსავი ოჯახის ცოცხალი მაგალითით, აემაღლებინათ ტყვეობაში მყოფ ებრაელთა სულიერი მდგომარეობა, აღეძრათ მათში ღვთისადმი მოწიწება და ხსნის იმედი. აქ არ შევუდგებით ამ საინტერესო წიგნის შინაარსის გადმოცემას, რადგან ყველა დაინტერესებულ პირს თავად შეუძლია ის წაიკითხოს. ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ რიგ საკვანძო მომენტებზე. პირველ რიგში, ეს არის მორალურ-ზნეობრივი „კოდექსი“, რომელსაც ტობითი დარიგების სახით აძლევს თავის შვილს ტობიას. აქედან ბევრი ძალზე ნაცნობია ჩვენთვის და ყოველი ქრისტიანისათვის, მაგალითად: მშობლებისადმი პატივისცემა და მათზე ზრუნვა — „როცა მოვკვდები, შვილო, დამმარხე; ნუ მიატოვებ დედას და პატივი ეცი მთელი სიცოცხლის მანძილზე; სადარდელს ნურას გაუჩენ“ (4,3), მოწიწება უფლისა და მისი მცნებებისადმი — „ყოველდღე გახსოვდეს, შვილო, უფალი, ღმერთი ჩვენი; ნუ შესცოდავ და ნუ გადახვალ მის მცნებებს...“(4,5), გაჭირვებულთა მიმართ მოწყალების გაღება — „პირს ნუ იბრუნებ უპოვართაგან, რათა შენგანაც არ იბრუნოს პირი ღმერთმა... ვინაიდან მოწყალება სიკვდილისაგან გიხსნის და ბნელეთს განგარიდებს“ (4-7,10) და ა. შ.

წიგნი ასევე გვასწავლის ახლობელთა და ყოველთა მოყვასთა თანადგომას და მათზე ზრუნვის აუცილებლობას — „გიყვარდეს, შვილო, შენი მოძმენი და ნუ აღზევდები გულით ძმების წინაშე“ (4,13). გავიხსენოთ ასევე, რომ ტობითი თავად ზრუნავდა თვისტომ მიცვალებულებზე, მარხავდა მათ, რაც აკრძალული იყო და მკაცრად ისჯებოდა. წიგნში დიდი ადგილი ეთმობა აგრეთვე ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს, განსაკუთრებით ერთად ლოცვის მნიშვნელობას წყვილებისათვის. სწორედ ამის წყალობით მოახერხებენ ახალშეუღლებულები — ტობია და მისი ცოლი სარა ბოროტის განდევნას ქორწინების წინ.

ამრიგად, ტობითის წიგნში მოცემულია იდეალი ღვთის კანონებით მცხოვრები მართლმორწმუნე ოჯახისა, რომელზეც აუცილებლად გადმოვა ღვთის მადლი, და უფლის წყალობით დაიძლევა ყოველგვარი გასაჭირი.

ფორმაციული შეხვედრები არ შემოფარგლულა მხოლოდ მოსმენით, წყვილებს საშუალება გვქონდა, გაგვეზიარებინა

ერთმანეთისთვის საკუთარი გამოცდილება, გამოგვეთქვა აზრი ამა თუ იმ საკითხზე.

აქტიურად წარიმართა საუბარი ბავშვთა აღზრდის ირგვლივაც; ამ მხრივ, ჩვენთვის საინტერესო იყო მალტელი წყვილის, ლორენა და ჯოზეფ ბუხაჯარების გამოცდილების გაცნობა. ისინი უკვე ექვსი წელი იმყოფებიან საქართველოში. მისიონერთა ამ ღვთისმოსავ ოჯახში რვა შვილი იზრდება. აქვე აღვნიშნავთ, რომ წლევანდელი შეხვედრა ბავშვთა სიმრავლითაც გამოირჩეოდა, თითქმის ყველა წყვილს ახლდა ბავშვი, რომლებიც თავიანთი ჟრიამულითა და ანცობით სიცოცხლეს მატებდნენ „იმედის სახლს“ (მათ „დასაქმებას“ წარმატებით გაართვეს თავი ძიძებმა — მარინა ფხაკაძემ და მარიკა ნებიერიძემ). გამოიკვეთა საერთო აზრი, რომ რწმენაში მყოფი ოჯახისთვის, რომელიც უფალსაა მინდობილი, ყოველგვარი სიკეთე შესაძლებელია მხოლოდ ღმერთთან თანაზიარებითა და „თანამშრომლობით“.

„ინერის“ სამსახური ყოველთვის აქტიურად არის ჩართული შობადობის ბენებრივი რეგულირების მეთოდის გაცნობა-შესწავლაში და ამჯერადაც, მეთოდის ექსპერტები ნანა ნებიერიძე და ხათუნა გოგიძე სიამოვნებით უწევდნენ კონსულტაციას ახალგაზრდა ქალებს.

შინაარსობრივად მრავალფეროვანი იყო დღის მეორე ნახევარიც. დავათვალიერეთ ბათუმის ღირსშესანიშნაობები: ახალი ბულვარი, „პიაცას“ მოედანი, დელფინარიუმი და სხვა. ხოლო ღამის თავშესაფრის მონახულების შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ ქრისტიანისთვის უპირველესი სიქველე მოყვასისადმი დახმარება და თანაგრძნობის გაწევაა. რაოდენ სასიხარულოა, რომ ჩვენი ეკლესია და მასთან ერთად ფონდი „კარიტასი“ ასე ბევრს აკეთებენ ამ მიმართულებით. რაც შეეხება სულიერ საზრდოს, ესეც საკმარისად გვქონდა: დილისა და საღამოს ლოცვები, წმ. წირვები, მამა მაჩეის მშვენიერი ქადაგებები.

დასასრულ, ჩვენი და ყველა წყვილის სახელით, გვინდა, მადლობა გადავუხადოთ ამ შეხვედრის ორგანიზატორებს: სუორა ანა-მარიას, „ინერ-საქართველოს“ თანამშრომლებს, ჩვენს გულღია მასპინძელს, ბატონ თამაზ მღებრიშვილს და საერთოდ ყველას, ვინც თუნდაც მცირედი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ეს შეხვედრა ჩვენთვის საინტერესო და სასარგებლო ყოფილიყო.

და ბოლოს, გამოვხატავთ საერთო აზრს, რომ ამგვარი შეხვედრები ჩვენი საკრებულოებისათვის მეტად საჭიროა. სასურველია, მასში მეტი წყვილი იყოს ჩართული. ასევე სასურველია, გაიზარდოს წყვილთა წარმომადგენლობა გეოგრაფიულადაც.

ხათუნა და ლევან ბეგიშვილები

სიქსტეს მადონა და რუსული კულტურა

(გაგრძელება, დასაწყისი „საბა“ 2011, № 9)

როგორც კი სიქსტეს მადონა დრეზდენის გალერეაში ჩაიტანეს, ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც მისი ხილვისას სიხარული ვერ დამალა, ხელოვნების ისტორიკოსი იოჰან ვინკელმანი გახლდათ; იგი ასე აღწერს ღვთისმშობლის სახეს: „უმანკოებით და, ამავდროულად, ზებუნებრივი სიდიადით აღსავსე, ნეტარი და მშვიდი გარეგნობით; აღსავსე სიმშვიდით, რაც ძველი მხატვრების სურათებში აირეკლება ღვთიურ სახეებზე... მის მკლავებში მყოფი ყრმა, ჩვეულებრივ ბავშვზე აღმატებული, ღვთაებრივ შუქს აფრქვევს თავისი უმანკოებით“.

მაშინ მრავალმა მოინახულა გალერეა, სიქსტეს მადონას წინ უშველებელი რიგები იდგა მწერლების, პოეტების, მხატვრების, ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის წარმომადგენლების, ანუ ყველა მათგანის, ვინც გასულ საუკუნეში ერთხელ მაინც იმოგზაურა ცენტრალურ ევროპაში, ან დრეზდენის ახლომდებარე, ცნობილ სამკურნალო კურორტებზე დაისვენა. მათ შორის გახლდათ ვ.კ. კიუხელბეკერი (1797-1846), რუსი პოეტის, პუშკინის სკოლის ამხანაგი, რომელიც ამ სიტყვებით აღწერს რაფაელის სურათიდან მიღებულ შთაბეჭდილებას:

„წმიდათა შორის წმიდას ზღურბლთან ვდგავართ; რაფაელის მადონა ღრუბლებიდან ეშვება თავისი ღვთაებრივი ყრმით... ორივე მხარეს აწეულია მწვანე ფარდა და ზეცა მთლიანად გადაჭედილია ქერუბიმების თავებით, თითოეული მათგანის სახე ერთი პატარა სურათია, თითოეული მათგანი სრულყოფილების ბეჭედს ატარებს... აქვე იდუმალმა შიშმა მოიცვა ჩემი სული! ჩემს წინაშე არამიწიერი ხილვა იყო: ზეციური სიწმინდე, მარადიული, ღვთაებრივი სიმშვიდე სუფევდა ყრმისა და ქალწულის სახეზე; მათ მე შიში მომგვარეს: როგორ ძალმიძს მე, ვნებებისა და სურვილების მონას, მათ ვუმზერდე? და უეცრად, სიმშვიდემ, განსაცვიფრებელმა სიმშვიდემ გაიელვა დედის ბაგეებზე და კვლავ მიიპყრო ჩემი მზერა: ძალა არ მყოფნიდა ამ ხილვისგან თავდასაღწევად, თუნდაც ზეციდან წამოსული მეხი დამცემოდა მე, უღირსს! შეხედეთ, იგი ყველაფერს გარდასახავს თავის ირგვლივ!...აქ ვერ აღვწერ იმ ფიქრებსა და წარმოსახვებს, რაც ჩემს სულში წარმოიშვა და აკიაფდა ღვთისმშობლის ხილვისას; როცა, მისი ნახვის შემდეგ, შინ ვბრუნდებოდი, უფრო და უფრო უკეთ ვგრძნობდი თავს. მე ვხედავდი უამრავი ნორჩი და მოსიყვარულე დედების, უმანკო ჩვილების სახეებს; მათ თვალებში რწმენას, აღმაფრენას, ტკივილს... სადაცაა შევძახებდი: აღუწერელია! ასე მითხრეს: ყველა მათგანი ღვთისმშობლის სახეებია. და ეს მხოლოდ რაფაელს ეჩვენა“.

რუსი პოეტის ცხოვრებაში პაპ ურბანოს მიერ შეკვეთილი სურათი მხოლოდ ხელოვნების ნიმუში და უზენაესი შემოქმედება როდი იყო; იგი ისეთი მსოფლმხედველობის ნაყოფია, რისი დახატვაც ზეციდან გარდმოვლენილი ნიჭით დაჯილდოებულ მხატვარს თუ ხელეწიფება. ამ სურათს ხატის ღირსება გააჩნია; მართალია, მოკვდავის ხელითაა დახატული, მაგრამ შთაგონებულია წმიდა სულით და გადატანილი ტილოზე, სადაც მთელი თავისი სიწმინდით ბრწყინავს. რაფაელის სურათის ამგვარი აღქმა ერთ ისტორიულ, ან შესაძლოა ფსევდოისტორიულ, დოკუმენტს ეყრდნობა, რასაც ბრამანტეს მიაწერენ; სავარაუდოდ, ეს დოკუმენტი გერმანელმა ბერმა ვ. ჰ. ვაკენროდერმა იპოვა თავისი მონასტრის პერგამენტების თვალიერებისას. თავის წიგნში „გულის გადაშლა“ (პირველად ბერლინში დაიბეჭდა 1797 წ.), ვაკენროდერი, ვინც საკუთარ თავს „ხელოვნების მოყვარულ ბერს“ უწოდებდა, აცხადებს, რომ მან „იპოვა ბრამანტეს მიერ დაწერილი რამდენიმე გვერდი“, სადაც იგი იმ აღსარებას იხსენებდა, რომელიც მას რაფაელმა გაუმხილა. „სიყრმიდანვე გააჩნდა განსაკუთრებული მოწიწება და სიყვარული ღვთისმშობლისადმი“ და, ალბათ, ამიტომაც სურდა, გამოესახა იგი „მთელი თავისი ზეციური სიწმინდით“, თუმცა მის ამ სურვილს თითქოს არ ეწერა ასრულება, რადგანაც ღვთისმშობლის სახის დახატვა არ გამოსდიოდა. ერთ ღამეს, მრავალი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, ისევ „შესთხოვა ქალწულს სიზმრად გაცხადებულიყო“, სიბნელეში მას თავისი დაუსრულებელი სურათი ეზმანა; ამ ზმანებაში სურათი „ყველაზე სრულყოფილი“ სახით იყო წარმოდგენილი.

ბრამანტე დამოწმებული ჰყავს ფლორენსკისაც თავის ერთ-ერთ ესეში, რომელიც მან ამ ხატს მიუძღვნა — „Iconostas“ (1922 წ.). ესეში რუსი მეცნიერი აჩვენებს, რომ ხატს საფუძვლად დაედო მისტიური ხილვა, და რომ ეს ფენომენი არსებობს როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ცხოვრებაშიც, და იქვე იმოწმებს CinqveCentos (ხუთასიანი წლები) პერიოდს. სწორედ ამასთან დაკავშირებით ციტირებს იგი ბრამანტესეულ დოკუმენტს, სადაც აღორძინების ხანის მხატვარი რაფაელისგან საიდუმლოდ განდობილს გვიამბობს:

„ჩემთვის ძვირფასი ერთი სასწაული მინდა შევინახო, რომელიც ძვირფასმა მეგობარმა რაფაელმა გამანდო საიდუმლოდ. ერთ დღესაც მასთან აღფრთოვანებული და წრფელი გულით გამოვხატავდი ჩემს გაკვირვებას ღვთისმშობლის მომაჯადოებელი ფიგურისა და წმიდა ოჯახის შესახებ და დაჟინებით ვთხოვდი, აეხსნა, თუ სად და როგორ იხილა ასეთი მშვენიერება, უწმიდესი ქალწულის ასეთი ამაღელვებელი მზერა და შეუდარებელი გამოხედვა, ყმაწვილქალური იერით, კრძალვითა და რიდით; რაფაელი ცოტა ხნით გაჩუმდა: შემდეგ, ძლიერ აღელვებულმა და აქვითინებულმა, მკერდზე მომადო თავი და თავისი საიდუმლო გამანდო. მიამბო, რომ მისი გული ჯერ კიდევ ნორჩ ასაკში დაიპყრო ღვთისმშობელმა; ზოგჯერ, როდესაც მის სახელს ხმამაღლა წარმოთქვამდა, შინაგანად ტკივილსაც გრძნობდა. როგორც კი მხატვრობის ნიჭი აღმოაჩნდა, სურვილი გაუჩნდა, ქალწული მარიამი თავისი ზეციური სრულქმნილებით გადაეტანა ტილოზე, მაგრამ მხოლოდ საკუთარ ძალებს ვერ დაეყრდნობოდა. ქალწულის სახეზე ფიქრი დღენიადაგ არ ასვენებდა; ეჩვენებოდა, რომ თვალებში ბინდი ჩამოსწოლოდა და წარმოსახვას გასაქანს არ აძლევდა. ზოგჯერ ღვთაებრივი ნაპერწკალი გაიელვებდა სულში და მარიამის სახეც მკაფიო კონტურებს იღებდა და ხატვის სურვილიც ეძალებოდა, თუმცა ეს წამიერი გაელვება იყო და წარმოსახვაც მალე უჩინარდებოდა. რაფაელმა სულიერი სიმშვიდე დაკარგა; მხოლოდ დროგამოშვებით ეწვეოდა გაოცება თავისი იდეალის სახის ცქერით, სულის პირქუში განცდები კი ვერ გარდაისახა გასხივოსნებულ გამოცხადებად. ბოლოს, როცა უკვე მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, ღვთისმშობლის ხატვას შეუდგა, მუშაობის პროცესში უფრო მეტად შეიპყრო მოუსვენრობამ. ერთხელაც, ღამით, როდესაც ძილში უწმიდეს ქალწულს ეოცნებობდა, — ამას იგი ხშირად მიმართავდა ხოლმე, — მოულოდნელად ძლიერი აღელვება დაეტყო. ღამის სიბნელეში რაფაელის მზერა საწოლის კედელზე გამოსახულმა კაშკაშა ხილვამ მიიპყრო; დაუშტერდა და, აჰა, კედელზე ღვთისმშობლის სახე იხილა, ჯერაც დაუსრულებელი; თავისი სიკაშკაშით გაბრწყინებული, იგი ცოცხალ ფიგურას უფრო ჰგავდა; ქალწული თავის ღვთაებრიობას იმგვარად წარმოაჩენდა, რომ რაფაელს ამ სანახაობისაგან გაფართოებული თვალები ცრემლებით აევსო. ხილვით აღელვებული, ცდილობდა თითოეული ნაკვთის დაჭერას და ყოველწამიერად ეჩვენებოდა, რომ ფიგურა აგერ-აგერ კედლიდან გადმოვიდოდა; მის წარმოსახვაში გაცოცხლდა კიდეც. ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ რაფაელმა მასში სწორედ ის დაინახა, რასაც მთელი ცხოვრება ასე მონდომებით ეძიებდა, და რაზეც ბუნდოვანი და ამაო წარმოდგენა ჰქონდა. მას არ ახსოვს, როგორ ჩაეძინა. თუმცა დილით, როდესაც ადგა, თითქოს ახლად დაიბადა. ხილვას მის სულში და მის გრძნობებში დაესადგურებინა; და, აჰა, მან შეძლო ღვთისმშობლის სახის იმ ფორმით დახატვა, როგორც მის სულში გამოისახა, იგი მთრთოლვარებითა და მოწიწებით უყურებდა მის მიერ დახატულ ღვთისმშობელს. აი, რაც მიამბო ჩემმა მეგობარმა, ძვირფასმა რაფაელმა, და მე ჩავიწერე ეს გასაოცარი და მნიშვნელოვანი სასწაული, რათა შემენახა იგი ჩემთვის ძვირფას მოგონებად.“

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

(ცეზარე ბორი – რაფაელის სიქსტეს მადონას გავლენა რუსულ კულტურაზე. მულინო, ბოლონია, 1990 წ.)

მოამზადა **მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ**

განუსვენე მათ, უფალო!

ივანე ბოჩიკაშვილი

* 08.09.1930 წ. — უდე

† 10. 09. 2011 წ. — უდე

მარიამ ერენაზოვი-იმნაძე

* 17. 07. 1935 წ. — ქუთაისი

† 01. 08. 2011 წ. — ქუთაისი

ქეთევან დავიდოვი მამულაშვილისა

* 02. 08. 1979 წ. — ვალე

† 17. 09. 2011 წ. — ვალე

ეზეკი-გოგი მაისურაძე

* 01.10.1935 წ. — უდე

† 20. 09. 2011 წ. — უნწა

ნოდარ გოზალიშვილი

* 25. 12. 1968 წ. — ვალე

† 02. 09. 2011 წ. — ბორჯომი

თინა პაპაშვილი-დათაშვილისა

* 15. 08. 1942 წ. — ხიზაბავარა (ასპინძა)

† 24. 09. 2011 წ. — ვალე

პეტრე კაჭკაჭიშვილი

* 01. 11. 1930 წ. — არალი

† 23. 09. 2011 წ. — არალი

ამირან-დავით გოგალაძე

* 20. 01. 1927 წ. — ხიზაბავრა

† 19. 09. 2011 წ. — ხიზაბავრა

ანტონ კაჭკაჭიშვილი

* 19. 03. 1927 წ. — არალი

† 04. 09. 2011 წ. — არალი

თინა მაისურაძე-მამუკაშვილისა

* 05.05.1929 წ.- უდე

† ო8. 09. 2011 წ. — ადიგენი

ეთერი აღლემაშვილი

* 08.03.1930 წ.- ადიგენი

† 13. 08. 2011 წ. — უდე

სარჩევი

რედაქციის გვერდი 2
კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში 3
კათოლიკე ეკლესია საქართველოში 5
მიხეილ თამარაშვილის საიუბილეო წელი 13
სხვა ქრისტიანული ეკლესიები 15
კათოლიკური პასუხი 15
საარქივო მასალები 16
ქრისტიანული ოჯახი 17
ფიქრები სიქსტეს მადონაზე 18
ინფორმაცია 19
საგანგებო ჩანართი .....I-IV

გასწორება

ჟურნალ „საბას„ 2010 წლის დეკემბრის ნომერში (გვერდი 14–15) დაბეჭდილ წერილში „ქართული ღვინის კიდევ ერთი აღიარება“ ნეკრესის ეპისკოპოსის მეუფე სერგის სიტყვაში გაიპარა მთარგმნელის შეცდომა. უნდა იყოს: ორ ეკლესიას შორის ურთიერთობის საწყის ეტაპზე ადგილი ჰქონდა ორმხრივ შეცდომებს, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო, იმედი გვაქვს რომ, ეს შეცდომები გათვალისწინებული იქნება და შემდგომში აღარ დაიშვება.

რედაქცია:

მამა გაბრიელე ბრაგანტინი
ნუგზარ ბარდაველიძე
ნატო ბიგვავა
ვერიკო ნოზაძე
მერაბ ღაღანიძე
ზაზა შათირიშვილი
ციცინო ხითარიშვილი

მისამართი:

თბილისი, გია აბესაძის ქ. №4
ტელ.: 98-95-16
რეგისტრაციის № 1853
დაარსდა 1994 წ.
მანანა ანდრიაძის მიერ

© „საბა“, 2011

გამომშვიდობება წმ. საყდრის დესპანთან

დღესასწაული ვალეში

„კარიტასი" – სიმბოლური გასაღების გადაცემა

საზაფხულო ბანაკი კახეთში

ბათუმი